ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 15 მარტი, 2013 №62 (6063) ფასი: 30 თეთრი

15 მარტიდან!
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი



ბიძინა ივანიშვილი ეკა ბესელიას პარტიიდან გარიცხვით დაემუქრა!

გვ.3

„პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი მახსენებს შუალედურ არჩევნებს და მეუბნება, რომ რომელიმე ცნობილი სახე, მსახიობი არ შევიყვანოთ პარლამენტში. კანონპროექტებზე მუშაობა უნდა შეეძლოს დეპუტატს და გამოცდილება უნდა ჰქონდეს. ჩვენი საყვარელი ხალხი შევიყვანეთ, არჩევნები მოვიგეთ, მაგრამ კანონშემოქმედებაა მნიშვნელოვანი, პროცედურებია, რომელთა დაცვაც აუცილებელია. ნაციონალურ მოძრაობას ამ მხრივ მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე ჩვენი გუნდის წევრებს“.

გვ.6

ცეზარ ჩოჩელი: „როგორც ეიფელის კოშკი ავაშენე, ისე ვაკოტრებდი ქართუ ბანკს“

ირინა სარიშვილი: „ქართული ოცნება“ მხარდამჭერებს კარგავს

გვ.2

„მესამე ოპოზიციური ცენტრის შექმნა აუცილებელია“

გვ.6

ზურაბ მებონია: „ჩვენ ბრძოლა მაშინ შეგვაწყვეტინეს, როცა ყველაზე მომზადებულები ვიყავით“

როგორ მოიგერიეს ჩვენმა მებრძოლებმა 1993 წლის მარტის შემოტევა სოხუმზე

გვ.5

ფიქრია ჩიხრაძე: „სამართლიანობის აღდგენა პოლიტიკურ დევნაში არ უნდა გადაიზარდოს“

გვ.4

მარინა კაქაშვილი: „დრო ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებშიც გამოზაფხულდეს“

გვ.4

თავისუფალი ბიზნესი უკონტროლობას არ უნდა ნიშნავდეს

13 მარტიდან!
„ახალი თაობა“
+
შექსპირი
8 ლარი



9 771987 938006

2 გია ხუხაშვილი: „შერიგება აუცილებელია“

3 რეგიონების განვითარებისთვის 200 მილიონი დაიხარჯება

5 სააკაშვილი ივანიშვილის განცხადებით შეშფოთებულია

8 ზაზა ხატიაშვილი: „6 პროკურორს ადვოკატობის უფლება არ მივეცით“

ირინა სარიშვილი: „ქართული ოცნება“ მხარდამჭერებს კარგავს

„მესამე ოპოზიციური ცენტრის შექმნა აუცილებელია“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

— ქალბატონო ირინა, შევაფასოთ ბოლო პერიოდის პროცესები. სტუდენტური მღელვარებაა და მინდა, რომ ამ თემით დავიწყოთ. რამდენად შეეცდებიან ნაციონალები ამ ყველაფრის სათავისოდ გამოყენებას, თუ უკვე არ იყენებენ?

— ამ სიტუაციაში დღევანდელი მთავრობის მოქმედების ან უმოქმედობის ნებისმიერი გაპროტესტება მოსახლეობის ნებისმიერი ფენის მხრიდან შესაძლებელია თეორიულად დავუშვათ, რომ გამოიყენოს ნაციონალურმა მოძრაობამ. ეს იმიტომ, რომ არ არსებობს სხვა არც ერთი რეალური მესამე პოლიტიკური ძალა ან ცენტრი, რომლის აქტივებშიც წავიდოდა ასეთი აქტიურობა. აქედან გამომდინარე, ასეთი საფრთხე, ბუნებრივია, არსებობს, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთი რამეც ფაქტია, რომ თუ ადამიანს რამე არ მოსწონს და ასეთი ადამიანების რიცხვი, სამწუხაროდ, კი არ მცირდება, არამედ იზრდება, ასეთ ვითარებაში იმის შიშით, რომ ეს ნაციონალურმა მოძრაობამ არ გამოიყენოს, თუ ყველა გაჩუმდება, ცოტა ხანში მივიღებთ ისეთივე სახელისუფლებო განუკითხაობას, რისი მოწმეებიც ადრე ვიყავით და რისი გამოცდილებაც გვაქვს. აქედან გამომდინარე, ალბათ, საზოგადოებამ, თავის მხრივ და პირველ რიგში პოლიტიკოსებმა ძალიან აქტიურად უნდა დაიწყონ ფიქრი არა საკუთარ ამბიციებზე, არამედ იმაზე, რომ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ გარეთ მყოფი ძალები ყველა ერთად დავსხდეთ, რაღაცაზე მოვილაპარაკოთ და მძლავრი ალტერნატივა შევქმნათ არა იმ სუროგატი ოპოზიციის, რომელიც არსებობს ნაციონალური მოძრაობის სახით. პარლამენტს, რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესი გამოსავალი აქვს და ჰქონდა აქამდეც. მას შეეძლო, დაესვა საკაკაშვილის იმპიჩმენტის საკითხი და იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ექნებოდა იმედი, რომ ეს საკითხი გადაწყდებოდა იმპიჩმენტის სასარგებლოდ, ჯერ ერთი, დავიწყოთ იქიდან, რომ ეს ყველაფერი იმ 25%-ს უნდა დავაბრალოთ, რომელიც გაჩუქდა მათი მხრიდან. მეორეც, ამასაც რომ თავი დავანებოთ, თვითონ საკითხის შეტანა დღის წესრიგში და საკითხის დასმა ოფიციალურად, პროცედურულად იწვევს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების შეჩერებას იმ დროით, რა დროც სჭირდება ამ საკითხის კენჭისყრაზე გატანის მომზადებას. ეს არ გაკეთდა და ჩვენ იმასაც ვხედავთ, რომ აბსოლუტურად ღიად მიდის ხელის შეშლა როგორც ნაციონალური მოძრაობისგან, ასევე გამარჯვებული ოცნებისგან იმისა, რომ ჩამოყალიბდეს მათ გარდა კიდევ ძლიერი პოლიტიკური ცენტრი. ახლა თქვენ რაც მკითხეთ და ჩემი პასუხიდან გამომდინარეც, აბსოლუტურად ცხადი ხდება, რატომ არ აწყობს არც ერთს ასეთი მესამე პოლიტიკური ძალის არსებობა.

— რატომ არ აწყობთ?

— გამარჯვებულებს არ აწყობთ, იმიტომ რომ, ასეთ ვითარებაში, როდესაც მხოლოდ ისინი არიან და მათი მოწინააღმდეგე მხოლოდ ნაცმოძრაობაა, თავს ბევრად მშვიდად იგრძნობენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსახლეობა უკმაყოფილო იქნება მათი მოქმედებით თუ უმოქმედობით. ნაციონალებს არ აწყობთ, იმიტომ რომ, ნებისმიერი უკმაყოფილება, ნებისმიერი პრეტენზია, ნებისმიერი აქტიურობა, იქნება ეს სტუდენტის თუ არასტუდენტის, ავტომატურად უნდა ჩაიწეროს მათ და არა, ვთქვათ, რომელიმე სხვა ძალის აქტივში.

— თავად ოცნების მხარდამჭერებიდან მოვისმინე შეფასებები, რომ აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რათა რეალურ ოპოზიციას მიეცეს პარლამენტში შესვლის საშუალება.

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ამ ვითარებაში რომ დაინიშნოს, არაფერს შეცვლის. არც ერთი გარეთ მყოფი ძალა, ცალ-ცალკე როგორ ძლიერებადაც არ უნდა ჰყავდეთ მათ საკუთარი თავი წარმოდგენილი, სანამ აქ არ იქნება ბაზა და საფუძველი იმისა, რომ ვილაპარაკოთ მესამე ძლიერ პოლიტიკურ ცენტრზე და არა ბევრ მესამე ცენტრზე. ცალ-ცალკე ყველასგან ეს პრეტენზია გვესმის, მაგრამ ერთმანეთთან მისვლას ჯერჯერობით არავინ აპირებს, ამიტომ ახალი არჩევნები დიდად არ შეცვლის საქმის ვითარებას. უბრალოდ, სავარაუდოდ, შეიცვლება პირველ რიგში ნაციონალთა სიები და გარკვეულწილად შეიცვლება ივანიშვილის სიაც, ოღონდ, არა მგონია, ამ სიის შეცვლა ნიშნავდეს, ვთქვათ, იმავე რესპუბლიკელთა რაოდენობის შემცირებას. პირიქით, მათი რაოდენობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს ანუ სანამ არ იქნება მოსახლეობისთვის ნათელი, სად არის ეს მესამე ძალა, არა რამდენიმე, არამედ ერთობა, მანამდე ასეთი არჩევნების ჩატარება, იქნება ეს რიგითი თუ რიგგარეშე, უაზრობად მიმაჩნია. ეს ზედმეტი ხარჯია, ზედმეტი ნერვიულობა და კიდევ უფრო მეტ აპათიას გამოიწვევს მოსახლეობაში.

— გარე ოპოზიციური ძალები უნდა გააქტიურდნენ?

— დიახ, გარე ძალები. რაც შეეხება ოცნების იმ საპარლამენტო წარმომადგენლებს, რომლებიც დღეს ამაზე ხმას იღებენ, რა თქმა უნდა, ეს მათი მონაწილეობითაც ძალიან კარგი იქნება, რომ მოხდეს, მაგრამ ფაქტია, თვითონ შიგნით, პარლამენტში რაოდენობრივად ვერ ხერხდება ადგილზევე მესამე ძალის ჩამოყალიბება. მეორეც, ნდობის ხარისხი მაინც ნაკლები იქნება და აუცილებლად გაჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, ხომ არ აკეთებს ამას იგივე ნაციონალური მოძრაობა. მოწინააღმდეგეები გააჩენენ ამ ეჭვს, მისი კონკურენტი პარტიები და ასე შემდეგ. ამიტომ ეს მომენტები უნდა გამორიცხოს. უნდა გამორიცხოს ვალერი ხაბურძანიასნაირი პროვოკაციული განცხადებების გავლენა საზოგადოებაზე.

— სწორედ რომ ვალერი ხაბურძანიაზე მინდოდა მეკითხა. როგორ შეხვდით მის პოლიტიკაში გამოჩენას?

— ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ხაბურძანიას გამოჩენა არენაზე პირდაპირ კავშირშია დღევანდელი ხელისუფლების ინტერესთან, ნაციონალებთან ერთად.

— ეს როგორ გავიგოთ? რას გულისხმობთ?

— იმდენად, რამდენადაც ხაბურძანიას განცხადებები აბსოლუტურად პროვოკაციულია, ჩვენ ვხედავთ, რომ ამჟამად მის გვერდით არავინ არის, მაგრამ ეს კაცი ან უბრალოდ დისკრედიტაციას ცდილობს პოლიტიკური ძალების და კონკრეტული ადამიანების, ან მართლა აპირებს, რომ ხმების გარკვეული პროცენტით დაქაქაქოს ისედაც თავგზაარეული ამომრჩეველი მომავალი არჩევნებისთვის. ეს კაცი ამას თავისი ენთუზიაზმით არ აკეთებს, მის უკან აუცილებლად ვიღაც დგას.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ხაბურძანია ვინმეს პროექტია?

— აუცილებლად. დიდი ალბათობით, ჩემთვის ეს არის 50/50-ზე, ის შეიძლება იყოს ივანიშვილის პროექტი, შეიძლება იყოს ნაცმოძრაობის პროექტი. ხაბურძანია დამოუკიდებლად რომ არ მოქმედებს, ეს ჩემთვის ცხადზე ცხადია.

— ივანიშვილს რაში უნდა სჭირდებოდეს ხაბურძანიას პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა?

— თუ ჩვენ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ხაბურძანია სჭირდება ან ერთს, ან მეორეს, ვლაპარაკობთ ისევ და ისევ იმ საერთო შეთანხმებაზე ამ ორ ძალას შორის, რომ მესამე პოლიტიკური ძალის არსებობა არათუ საჭირო არ არის, არამედ დაუშვებელია. აი, ასეთი პროექტები კი ხელს უშლის, რა თქმა უნდა, მესამე პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას, იმიტომ რომ საფუძველშივე ხდება თვითონ იდეის დისკრედიტაცია, იმიტომ რომ, ის განცხადებები, რომლებსაც აკეთებს ვალერი ხაბურძანია, ხაბურძანია ბავშვი არ არის და შესანიშნავად იცის, რომ ამ განცხადებას მოსახლეობაში სადღაც 10%-მდე მხარდაჭერა ექნება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის შეიძლება გახდეს მესამე პოლიტიკური ცენტრი ასეთი განცხადებებით.

— თავადვე აცხადებს, რომ მოსახლეობის 10-15%-იან მხარდაჭერას ვარაუდობს.

— ეს ის 10-15%-ია, რომელიც მან უნდა წაართვას რეალურად მესამე პოლიტიკურ ძალას. ოღონდ ეს წართმევა განხორციელდება თუ არა, მაინც ისევ ჩვენზეა დამოკიდებული ანუ ცალკეულ პოლიტიკოსზე, ცალკეულ პოლიტიკურ ძალაზე და იმ ადამიანებზე, რომლებსაც საკმაოდ სერიოზული როლის შესრულება შეუძლიათ ამ სიტუაციაში.

— უნდა მეკითხა, რომ თქვენ ხომ არ აპირებთ ხაბურძანიასთან თანამშრომლობას-მეთქი, რადგან თქვენც პრორუსულ ძალად მოიაზრებით, მაგრამ ისეთი განცხადებები გააკეთეთ, რომ...

— მე იმასაც ვერ წარმოვიდგენდი, ჩემ მიმართ ასეთი შეკითხვაც კი თუ დაისმებოდა. ადამიანები, რომლებიც ვაცხადებთ ამდენი ხნის განმავლობაში, რომ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებაა საჭირო, ცოტა სასაცილოა, რომ ვინმემ მოგვიაზროს პრორუსულ ძალად. რას შეეხება ხაბურძანიას, მან იმ ტიპის და იმ ფორმის განცხადება აბსოლუტურად შეგნებულად გააკეთა. გააკეთა სწორედ იმიტომ, რომ ნებისმიერი ნათქვამი რომელიმე ჩვენგანის მხრიდან, რომ რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებაა საჭირო, ავტომატურად, მარტივი ტვინების ადამიანებისთვის დაკავშირდეს ხაბურძანიას განცხადებასთან, რომლის თანახმადაც, ლამის რუსეთის ნაწილად უნდა გადავიქცეთ.

— მოდით, ისევ იმ თემას დავუბრუნდეთ, რითაც საუბარი დავიწყეთ. თქვენ როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა გასაუქმებელი ავტორიზაცია აგრარულ უნივერსიტეტს, თუ აქ ბენდუქიძის ფაქტორია წინა პლანზე წამოწეული?

— თავი დავანებოთ ბენდუქიძის ფაქტორს. თუ ბენდუქიძემ პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე, ეს სხვა თემაა. ეს არც ჩემი განსახილველია და არც თქვენი. ამისთვის არსებობს კონკრეტული სტრუქტურები. აგრარული უნივერსიტეტის აკრედიტაციის გაუქმებას მე ნამდვილად ვერ დავუჭერ მხარს ვერანაირი მოსაზრებით. აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა, ჩემთვის მისაღები ან მიუღებელი ადამიანი, თუნდაც თავისი პოლიტიკური შეხედულებებით, პროფესიული თვალსაზრისით თუ თავის დონეზე აკეთებდა საქმეს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ გვაქვს ქვეყანაში ბევრი ისეთი სასწავლებელი, არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ასეთი ტიპის სასწავლებლების აკრედიტაცია გავაუქმოთ.

— რამდენად გამწვავდება ვითარება, თუკი ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს? თანაც აპრილი ახლოვდება, ნაციონალებს დაანონსებული აქვთ აქციები. ამ ფონზე რას უნდა ველოდეთ?

— თუ სიტუაცია გამწვავდა, მაშინ ერთი რამეც ვიცოდეთ, მაშინ ამ გამწვავებაში ნაციონალებთან ერთად თანაბრად მონაწილეობს დღევანდელი ხელისუფლებაც, იმიტომ რომ, ეჭვი მეპარება, გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალაში არ არსებობდეს არავინ, რომელსაც ანალიზის უნარი არა აქვს. თუ თვითონ არ ესმით, საინფორმაციო საშუალებებს მაინც არ ადევნებენ თვალყურს და იქიდან მაინც ვერ იგებენ, რომ პროცესები ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს. რა თქმა უნდა, რაც უფრო დიდი მუხტი იქნება დატოვებული საპრილოდ, მით უფრო გაუადვილდება, სამწუხაროდ, ნაციონალურ მოძრაობას ამ აქციის ჩატარება. ეს პატარა ბავშვისთვისაც გასაგები უნდა იყოს. ჩემი აზრით, ხელისუფლების მხრიდან ასეთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, მით უმეტეს, როდესაც წინ გველის საკონსტიტუციო ცვლილებებზე კენჭისყრა, როდესაც დაანონსებულია ამდენი ხნით ადრე 19 აპრილის აქცია და თეორიულად მაინც უნდა გვესმოდეს, რომ ნაციონალური მოძრაობა გააკეთებს ყველაფერს, აბსოლუტურად ყველაფერს იმისათვის, რომ ეს აქცია ხალხმრავალი იყოს.

— თუ ასე გაგრძელდა, არ გამორიცხავთ, რომ ნაციონალების აქციას სტუდენტთა არმიაც შეუერთდეს?

— მე ნამდვილად არ შემიძლია ამის თქმა. ნაციონალების მხრიდან, რა თქმა უნდა, იქნება მცდელობა, რომ ეს აქცია რაღაცნაირად თავის სასარგებლოდ გამოიყენონ. რამდენად მოახერხებენ ამას, ეს სტუდენტთა მარიფათზეა დამოკიდებული, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში, მაშინ, როცა სხვა არავინ ჩანს, ნებისმიერ პროტესტს, ბუნებრივია, ეცდება, სათავეში ჩაუდგეს ნაციონალური მოძრაობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნაციონალური მოძრაობა სტუდენტებს ვერ მოიყვანს აქციაზე, ეს იდეა და აზრი აუცილებლად იქნება ამ აქციის თანმხლები. ოცნება ბევრ მხარდამჭერს კარგავს და ამ ხალხს ნამდვილად არ უნდა ჰქონეს მისასვლელი ნაციონალებთან. სწორედ ამიტომ უნდა შეიქმნას მესამე ოპოზიციური ცენტრი.

გია ხუხაშვილი: „შერიგება აუცილებელია“

შორენა გონგლაძე

„ემოციებით სახელმწიფო არ იმართება, ყველას კეთილგონიერება გვმართებს. ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენი ყველა პირადი ემოცია გვერდზე გავწიოთ, როცა ლაპარაკია სახელმწიფო ინტერესებზე. კონსტიტუციური ცვლილებების მიღება არის სახელმწიფოებრივი და ყველამ კეთილი უნდა ინებოს და აღასრულოს სახელმწიფოებრივი ინტერესი“, — ეს განცხადება გია ხუხაშვილმა გუშინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. გია ხუხაშვილის განცხადებით, თუ ნაციონალური მოძრაობა ცვლილებებს მხარს დაუჭერს, ამით მხოლოდ ქვეყნის ნორმალურ განვითარებას დაუჭერს მხარს.

— ეს საკონსტიტუციო ცვლილებები არ არის, გამარჯვება-დამარცხების საკითხი, ყველა შემთხვევაში ეს თემა არის სახელმწიფოებრივი საკითხი და არა პოლიტიკური ბრძოლა, აქედან გამომ-

დინარე, მე არ ვთვლი, რომ თუ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები იქნება მიღებული, ვინმე მოიგებს ან წააგებს, ეს საერთო გამარჯვება იქნება, რითაც დასრულდება თეორიული დიქტატურის რისკი საქართველოში და კონსტიტუცია მოექცევა იმ ზოგადი დემოკრატიული პრინციპების არეალში, რაც ძვირფასია ყველა ჩვენგანისთვის. რაც მთავარია, ევროპულ დემოკრატიასთან შესაბამისობაში მოვა კონსტიტუცია. ნაციონალური მოძრაობა თუ ამას მხარს დაუჭერს, ამით არაფერს წააგებენ, პირიქით, მოიგებენ, ეს იქნება ერთგვარი ბოდიში იმისა, რომ ასეთი რამე იყო ცხრა წლის განმავლობაში კონსტიტუციაში. მათ აქვთ იმის შანსი, რომ ამ ისტორიული მოვლენის თანამონაწილეები გახდნენ. საკონსტიტუციო ცვლილებებზე უარის თქმა ნიშნავს იმას, რომ შენ გაწყობს ის სახელმწიფო, რომელიც აქამდე იყო, რომ ერთ პიროვნებას, თავისი მოსაზრებებით შეეძლო თავდაყირა დაეყენებინა მთლიანად დემოკრატიული პროცესი ქვეყანაში. როდესაც ადამიანი ასეთ არჩევანს აკეთებს, მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკაში მისი დარჩენა ძალიან რთულია. ასე რომ, აქ არ არის რაიმე პოლიტიკურ დაპირისპირებაზე და ანგარიშსწორებაზე ლაპარაკი, ლაპარაკია პოლიტიკურ პერსპექტივაზე, რაც, ჩემი აზრით, ასეთ ადამიანებს ამ ქვეყანაში არ ექნებათ, — აცხადებს ხუხაშვილი. მისივე თქმით, ქვეყანაში აუცილებელია სამართლიანობა აღდგეს.

— ჩვენ კოჰაბიტაციაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ რაღაც ფორმულაზე, რომლითაც საზოგადოებას გავაერთიანებთ, ასეულობით ათასი ადამიანი თავს გრძნობს დაზარალებულად და გვყავს ადამიანები, რომლებიც ემსახურებოდნენ სისტემას და არა ღირებულებებს. ჩემი აზრით, ეს ადამიანებიც სისტემის მსხვერპლნი არიან. მართალია მე ამ პროცესებში ბევრჯერ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბიძინა ივანიშვილი: „ეკა ბესელიამ ეს თუ მართლა თქვა, პარტიას დატოვებს!“

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჩეგიონული მედიის კითხვებს უპასუხა. ერთ-ერთი მთავარი კითხვა საკონსტიტუციო ცვლილებებს ეხებოდა. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ივანიშვილმა ვრცლად ისაუბრა.

– პირველი, რაც სააკაშვილმა გააკეთა, კონსტიტუცია შეცვალა. ვისაც დემოკრატიაზე პრეტენზია აქვს, უპრეცედენტოა ასეთი გადაწყვეტილება. პარლამენტი პრაქტიკულად სააკაშვილის სურვილების დანამატი იყო. ხელისუფლებებს შორის დაბალანსება აბსოლუტურად დარღვეული იყო. პრეზიდენტს უფლება აქვს, თუ არ მოსწონს მთავრობა, დაითხოვოს. ეს ნორმალურია, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში ახალ მთავრობას პრეზიდენტი პარლამენტის დამტკიცების გარეშე ვერ ნიშნავს. პარლამენტში იქნება კენჭისყრა და ახლა მთლიანად ნაციონალური მოძრაობის მხარეს გადავიდა თამაში. მათი ხმები სარგებელს ან ზიანს მხოლოდ მათ მოუტანს. ძალიან დიდი ალბათობით ხმების რაოდენობა იმაზე მეტი იქნება, რაც საჭიროა საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად. დღეს ნაციონალური მოძრაობა ამ ნორმის შენარჩუნებას ვერ შეძლებს, ეს მათთვის კატასტროფა იქნება. თუ ეს საკონსტიტუციო ცვლილება ჩავარდება, ჩვენთვის, როგორც ოპონენტებისთვის, პოლიტიკურად მომგებიანი იქნება, რადგან განადგურდებიან. საბოლოოდ დაკარგავენ სახეს. თუ ამ დიქტატორულ კანონს შეინარჩუნებენ ამერიკასა და ევროპაში კატესტროფულ შედეგებს მიიღებენ. ადამიანურად ჩემი სურვილი არ არის ნაციონალური მოძრაობის განადგურება. ეს მხოლოდ მათ შეუძლიათ. დღეს სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ არის. თვითონვე ანადგურებს თავისი პოზიციით იმას, რაც უნდა, მე დამაბრალოს. მე არაფერში არ მჭირდება გოკა გაბაშვილის ხმა, ეს მხოლოდ მათ სჭირდებათ. – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილს, ჟურნალისტმა კოტე კუბლაშვილთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა, თუ რატომ უდგება ის გარანტად

კუბლაშვილს?

– ძალიან ბევრი ჩინოვნიკი სააკაშვილისა და მისი იდეოლოგიის მსხვერპლია. მეც ორწელიწად-ნახევარი მისი მსხვერპლი ვიყავი. არ გამიგია კუბლაშვილზე, რომ ის ძალიან მდიდარი და მექრთამეა, ის ვერ ახერხებდა, უარი ეთქვა და სისტემის წინააღმდეგ წასულიყო. ჩემი აზრით, კოტე კუბლაშვილი ამ სისტემის მსხვერპლი გახდა. – ასე უპასუხა აღნიშნულ კითხვას პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა პროფესიონალებზე, რომლის დეფიციტიც არის პარლამენტში. ამ საკითხზე მან ასეთი კომენტარი გააკეთა:

– პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი მახსენებს შუალედურ არჩევნებს და მეუბნება, რომ რომელიმე ცნობილი სახე, მსახიობი არ შევიყვანოთ პარლამენტში. კანონპროექტებზე მუშაობა უნდა შეეძლოს დეპუტატს და გამოცდილება უნდა ჰქონდეს. ნებისმიერი გუნდის წევრი იყოს, მაგრამ მას შეეძლოს პარლამენტში მუშაობა. ჩვენი საყვარელი ხალხი შევიყვანეთ, არჩევნები მოვიგეთ, მაგრამ კანონშემოქმედებაა მნიშვნელოვანი, პროცედურებია, რომლის დაცვაც აუცილებელია. ნაციონალურ მოძრაობას ამ მხრივ მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე ჩვენი გუნდის წევრებს. – აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

პრემიერ-მინისტრს ჟურნალისტმა ფოთის მაჟორიტარ დეპუტატ ეკა ბესელიასთან დაკავშირებით ჰკითხა. როგორც ჟურნალისტმა პრესკონფერენციაზე ივანიშვილს უთხრა, ბესელიამ პირად საუბარში თქვა, მას ფოთი პრემიერმა ჩააბარა.

აღნიშნულთან დაკავშირებით პრემიერმა ჟურნალისტს ფაქტების დადასტურება მოსთხოვა, რის შემდეგაც ეკა ბესელიას გუნდიდან გარიცხავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მძიმე ბრალდება იქნებოდა მისი მხრიდან.

– როგორ შეიძლება, მსგავსი რამ ვიკადრო და ის, რაც მე არ მეკუთვნის, სხვას ჩავაბარო. – ამბობს ივანიშვილი.

აღნიშნულს გამოეხმაურა ეკა ბესელია.

– ძალიან ვწუხვარ, რომ ჟურნალისტიკა ზოგს ჭორაობა ჰგონია და ძალიან შორს არის პროფესიული და ეთიკური სტანდარტებისგან. იყო შემთხვევა, როდესაც ელისო ჯანაშიას ძმა იყო ჩემთან მოსული და ითხოვა, რომ თუ არ ვცდები, მას უნდოდა დაცვის სამსახურის უფროსად დანიშვნა. მას ვუთხარი, რომ ეს არ არის ჩემი კომპეტენცია და ამას წყვეტს შინაგან საქმეთა მინისტრი და მე საკადრო გადაწყვეტილებებში არ ვერევი. თუ ის ამის გამოა განაწყენებული, მე ჩავთვლი, რომ ეს არის მისი პირადი დამოკიდებულების გამოხატვა საჯაროდ. მე არ ვუყურებ სერიოზულად ასეთ განცხადებას. მიკვირს ასეთი ფეოდალური აზროვნება, რას ნიშნავს, ქალაქი ჩამაბარა პრემიერმა? ჩვენ ქალაქი გვანდო, რაიონი გვანდო და ქვეყანა გვანდო ხალხმა. – აცხადებს ბესელია. ჟურნალისტი აღნიშნულს უარყოფს.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს მოთმინებით უნდა მოვეკიდოთ.

ეს განცხადება ივანიშვილმა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბის შეხვედრის კომენტირებისას გააკეთა.

– ტერმინები არის აბსოლუტურად ობიექტური. რაც არის რეალობა იმას ვამბობთ ჩვენც. მე ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერს მოთმინებით უნდა მოვეკიდოთ. ჩემი აზრით, მდგომარეობა, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არსებობს, რუსეთისთვისაც მიუღებელია. მე კრემლის ჩინოვნიკებთან იატაკქვეშა ურთიერთობები არ გამაჩნია, თუმცა ანალიზის საფუძველზე მინდა, ვთქვა, რომ შექმნილი მდგომარეობა რუსეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობის უსაფრთოებისთვის დადებითი არ არის. ხვალ სურვილიც რომ გაუჩნდეს რუსეთის მთავრობას, რომ ყველაფერი დაბრუნოს, პოლიტიკურადაც და ტექნიკურადაც ეს დიდ დროს მოითხოვს. – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი ასევე გამოეხმაურა ბათუმში მეჩეთის აშენების საკითხს. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ევროპელებისგან და ამერიკელებისგან, მაგრამ ტოლერანტულობას ვერავინ გვასწავლის.

– ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ევროპელებისგან და ამერიკელებისგან, მაგრამ ტოლერანტულობას ვერავინ გვასწავლის. მაგალითისთვის შეგახსენებთ, თუ როგორ დგას ეკლესია და მეჩეთი ერთად, როგორ პატივს სცემენ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები ერთმანეთს ჩვენს ქვეყანაში. ქართველი მუსლიმები ისეთივე ჩვენი მოქალაქეები არიან, როგორც მართლმადიდებლები, ამიტომ თუკი მოთხოვნა არის და მათ არ ჰყოფნით სალოცავად მეჩეთები, უნდა მივცეთ საშუალება, ააშენონ. უნდა მოვიქცეთ ძალიან ცივილიზებულად და ჩვენი ემოციურობით არ უნდა გავაუარესოთ ურთიერთობები თურქეთთან. მე ვიცი ყველაფერი, სად რა ხდება. არასდროს არ ყოფილა საქართველოში მეჩეთის მშენებლობის პრობლემა, ეს ხელოვნურად წინა ხელისუფლების მიერ წამოწეული პრობლემა იყო. რაც შეეხება მეჩეთებს, პირადად მე მაქვს სურვილი, რომ ერთი მეჩეთი ავაშენო. არ მინდა, არავითარი სუბორდინაცია დავარღვიო და კანონი, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, პირადად მივიღო მონაწილეობა, რომ ბათუმში მეჩეთი აშენდეს. – განაცხადა ივანიშვილმა.

გია ხუხაშვილი: „შერიგება აუცილებელია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დავზარალდი, მაგრამ მე არ ვთვლი, რომ ჩემი მდგომარეობა უფრო რთულია, ვიდრე იმ ადამიანების, ვისი მხრიდანაც მოხდა ჩემი დაზარალება. შერიგება აუცილებლად უნდა მოხდეს და შერიგების წყალგამყოფი უნდა გახდეს რაღაც ტიპის ამნისტია, მაგრამ როგორი უნდა იყოს ამნისტია, ეს უნდა გახდეს ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი. ის, რასაც ნაციონალური მოძრაობა ითხოვდა, რომ ამნისტია იყოს გენერალური, მე ამას არ ვიზიარებ არა იმიტომ, რომ ვინმეს დასჯა მინდა, არამედ იმიტომ, რომ უპირობო პატიება არ იმუშავებს ქართველ საზოგადოებაში, პირიქით, ამ ამნისტიით მოსარგებლე უფრო მეტ საფრთხეში აღმოჩნდება. ადამიანების დიდი წრე, რომლებიც ამ პროცესებში დაზარალდნენ, ჯერ კიდევ გაჩერებულები არიან, იკვებენ ემოციებს იმიტომ, რომ მათ ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ ვიღაცა დაისჯება, მაგრამ თუ ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ არავის არ ვსჯით, ჩვენ შეიძლება მივიღოთ სურათი, როდესაც სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში იმედგადაწურული ადამიანები პირდაპირ ანგარიშსწორებაზე გადავლენ და ამ პროცესის შეჩერება ძალიან გაგვიჭირდება. ამიტომ მე ვამბობ, რომ ნაციონალური მოძრაობისთვის ასეთი ტიპის ამნისტია შერიგებას კი არ გამოიწვევს, პირიქით, საზოგადოებაში კიდევ უფრო მწვავე დაპირისპირების დეტონაციას მოახდენს. ამიტომ ამნისტია უნდა იყოს ისეთი, რომ ერთი მხრივ, გაჩნდეს სამართლიანობის განცდა და მეორე მხრივ, ის ადამიანები, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ სისტემას ემსახურებოდნენ, გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან. ამას აუცილებლად სჭირდება რაღაც ტიპის ბოდიშის მოხდა, მინიმუმ. ჩემი აზრით, ამნისტია შეიძლება იყოს კომბინირებული ანუ წვრილმან პოლიტიკურ დანაშაულობებზე შესაძლებელია გენერალური მივიღოთ, მაგრამ არის დანაშაულის კატეგორია, სადაც აუცილებლად ინდივიდუალურში უნდა გადავიდეს, სადაც მოხდება საპროცესო გარიგება არა პროკურატურასა და დამნაშავეს შორის, არამედ საზოგადოებასა და დამნაშავეს შორის. ამას აქვს თავისი მატერიალური და მორალური ნაწილი. – აცხადებს ხუხაშვილი.

ექსპერტი აგრარული უნივერსიტეტის გარშემო განვითარებული მოვლენების კომენტირებისას აცხადებს, რომ ამ პროცესებში პოლიტიკურ მოტივაციას ვერ ხედავს, მოხდა ამ საკითხის ხელოვნურად პოლიტიზება, რამაც ხელისუფლება დააზარალა. მისი თქმით, ის ხარვეზები, რაც აქვს უნივერსიტეტს, გამოსწორებადია, რომ ეს პროცესი მონოლოგიდან დიალოგში უნდა გადავიდეს.

– ადამიანები იყენებენ შექმნილ სიტრუაციას, რათა გაითვითონ თავიანთი მოლოდინები იმისა, თუ რა პრეტენზიები შეიძლება მათ მიმართ ხვალ და ზეგ იქნეს წამოყენებული, ესეც ერთგვარი ტაქტიკის ამბავია. ქვეყანაში არის ორი პრიორიტეტი, სოფლის მეურნეობა და განათლების სისტემა. აგრარული უნივერსიტეტის ღვაწლი ნამდვილად დასაფასებელია, რაც იქ გაკეთდა, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით ჩვენ ის არ დაგვავიწყდეს, რომ ეს იყო ის ადამიანი, რომელმაც სოფლის მეიურნეობა საერთოდ წაშალა საქართველოს ეკონომიკური რუკიდან. არანაირი ინვესტიცია ამ სფეროში არ მიედინებოდა და აგრარული ქვეყანა გადააქცია მომხმარებელ ქვეყნად.

ერისიონი უნდა წასულიყო თუ არა მოსკოვში, ამაზე მსჯელობს ადამიანი, რომელიც იყო პუტინის უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, ამის დამადასტურებელი ფოტო და ვიდეომასალა არსებობს. ბუშერის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა ამ ადამიანმა დაიწყო და რუსული მენტალიტეტიდან გამომდინარე, სპეცსამსახურებთან ურთიერთობის გარეშე ასეთ პროექტებზე არავის არ უშვებენ, ასეთი ადამიანი როდესაც საუბრობს, ერისიონს უნდა ეცეკვა თუ არა რუსეთში, ეს არის წარმოუდგენელი უტიფრობა, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

რეგიონების განვითარებისთვის 200 მილიონი დაიხარჯება

ნათია ხურცილავა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ ბოლო ერთი თვის მუშაობის შედეგები შეაჯამა. „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში გამჭვირვალე გახდა რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მომზადების პროცედურები და სამთავრობო კომისიის საქმიანობა.

რეგიონული განვითარების სამინისტრო ამ მიმართულებით პირველი ეტაპი – მუნიციპალიტეტებიდან და სამხარეო ადმინისტრაციებიდან პროექტების მიღების პროცესი დასრულა და მეორე პროექტის შერჩევის პროცესს იწყებს.

მინისტრის ინფორმაციით, რეგიონებში განხორციელებული პროექტებისთვის ფონდიდან 200 მილიონი ლარი დაიხარჯება, 140 მილიონით მეტი, ვიდრე ამავე ფონდისთვის 2012 წელს იყო გამოყოფილი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოებთან დაკავშირებით 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე 105 ტენდერი გამოცხადდა.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენისას განაცხადა, საქართველოს მთავრობა აგრძელებს ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას, რომელიც გასულ წლებში იყო დაგეგმილი.

გარდა ამისა, მინისტრის თქმით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახალ პროექტებსაც იწყებს, რომლებიც ისევ და ისევ რეგიონებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას შეუწყობს ხელს.

– საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე სულ 105 ტენდერი გამოცხადდა. მათ შორის, დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებზე 12 საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა, ხოლო საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებულ საგზაო პროექტებზე – 93 ადგილობრივი ტენდერი. აღნიშნულ პერიოდში დასრულებული საერთაშორისო ტენდერების შედეგად და წინა წლიდან გარდამავალი საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სხვადასხვა სამუშაოები (მშენებლობა-რეაბილიტაცია) 23 ობიექტზე მიმდინარეობს. მიმდინარე თვეში საერთაშორისო სატენდერო პროცედურები დასრულდა ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც მოცულობითა და ბიუჯეტით ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროექტია. – განაცხადა ნარმანიამ.

მინისტრის განცხადებით, საქართველოს ბიუჯეტით დაფინანსებულ საგზაო პროექტებზე გამოცხადებული ტენდერების შედეგად 75 გამარჯვებული კომპანიაა გამოვლენილი, ხოლო ადგილობრივი დაფინანსებით საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სხვადასხვა სამუშაოები 79 ობიექტზე მიმდინარეობს.

გარდა ამისა, ნარმანიას განცხადებით, სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ზუგდიდში რვა 4-სართულიანი შენობისგან დაკომპლექტებული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის თაობაზე ტენდერი გამოაცხადა.

– აღნიშნული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური დახმარებით 2 ლოტად განხორციელდება. მთლიანობაში, ყველა ეს პროექტი საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ისახავს მიზნად. – აღნიშნა მინისტრმა.

გარდა ამისა, ნარმანიამ ჟურნალისტებს გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულ ვიზიტებზე ინფორმაცია მიაწოდა.

მისი თქმით, გერმანიაში შეხვედრები კოლეგა სამინისტროს წარმომადგენლებთან, აშშ-ში, მსოფლიო ბანკის ოფისში გამართა. მინისტრმა 2 ვიზიტს წარმატებული უწოდა.

პრესკონფერენციაზე ნარმანიამ ადგილობრივი თვითმმართველობის დაგეგმილ რეფორმაზე კიდევ ერთხელ დეტალურად ისაუბრა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, „სოფლის მხარდაჭერის 50-მილიონიანი პროგრამის ახალი ეტაპი დაიწყო“.

როგორც დავით ნარმანია აცხადებს, ახალი ეტაპი უპრეცედენტოდ გამჭვირვალედ და მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობით წარიმართება.

მინისტრის განცხადებით, ამჟამად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომლები დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, მთელი საქართველოს მასშტაბით სოფლის რწმუნებულებისთვის ტრეინინგებს ატარებენ, რომლებმაც ადგილებზე სოფლის კრებები უნდა ჩაატარონ.

– სოფლის კრებების ჩატარების თარიღები წინასწარ გამოქვეყნდება და ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო თუ მედია ორგანიზაციას შეეძლება, აწარმოოს პროგრამის მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამა მეხუთე წელია, ხორციელდება, თუმცა მის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. – განაცხადა ნარმანიამ.

მინისტრის განცხადებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებების დასაფინანსებლად უნდა იქნეს გამოყენებული.

– კერძოდ, ეს შეიძლება, იყოს – ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია (მაგალითად, ხიდის აღდგენა, სოფლის გზის შეკეთება, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის შეკეთება, სარწყავი არხების რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი თუ სანიაღვრეთა გამწმენდი სამუშაოების ჩატარება და ა.შ.) და სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება (მაგალითად, სოფლის წყაროს მოწყობა, მოსახლეობის თავშეყრის ადგილის მოწყობა, სოფლის სტადიონის შეკეთება, სოფლის კლუბის მოწყობა და ა.შ.) – განაცხადა ნარმანიამ და დასძინა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებული სამუშაოების შესრულება სამინისტროს მიერ მკაცრად გაკონტროლდება.

თავისუფალი ბიზნესი უკონტროლობას არ უნდა ნიშნავდეს

თამარ ნინიძე

ორი დღის წინ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ოპტიმისტური მონაცემები წარუდგინა მედიას და ეკონომიკის წინსვლაზე გაამახვილა ყურადღება. ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ეკონომიკა ვითარდება, ცხადია, კარგია და მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ აგორებული შავი პიარი ეკონომიკური სტაგნაციის შესახებ, რომელიც ნაცმოძრაობის გენდივანმა აგორა, მხოლოდ პიარია და არ ემსახურება თანამშრომლობის სურვილს.

ნოდარ ხადურის ინფორმაციით, იანვარ-თებერვალში ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით შესრულდა, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 870,1 მლნ ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 221 მლნ-ით აღემატება.

„ახალი თაობა“ დაუკავშირდა „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკურ ექსპერტ ლევან კალანდაძეს და კომენტარი სთხოვა. კალანდაძის განცხადებით, ეკონომიკური პროგნოზები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა მოამზადეს, ამაზე არის მსჯელობა, რამდენად აწევადია ეკონომიკური ზრდა საქართველოში, რამდენად უზრუნველყოფს ახალი ხელისუფლება იმას, რომ გაცხადებული ეკონომიკური ზრდის ტემპი შენარჩუნდეს. კალანდაძეს ოპტიმისტური მოლოდინი აქვს, რადგან ეს არ არის ის ეკონომიკური ზრდის ტემპი, რომელიც საქართველოს არ შეუძლია, ასწიოს. თუ ხელისუფლების პოლიტიკა ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით იქნება მიზანმიმართული, შედეგზე ორიენტირებული, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული, თუკი ხელისუფლების გზავნილები იქნება პოზიტიური ბიზნესისადმი და ამას მოჰყვება კონკრეტული ცვლილებები ბიზნესგარემოს გაჯანსაღების, საგადასახადო კოდექსის ადმინისტრირების ნაწილის ლიბერალიზაციასთან მიმართებით, მაშინ არათუ შესრულებადია ეს პარამეტრი, არამედ მეტიც, შეიძლება, უკეთესი შედეგიც მივიღოთ, მაგრამ თუ ხელისუფლებამ დაუშვა შეცდომები ბიზნესთან მიმართებით, მაშინ მშპ-ს ეს პარამეტრი შეიძლება ვერ იქნეს მიღწეული.

ეკონომიკური ზრდა არის ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ერთობლიობა. ეკონომიკური ზრდის უზრუნველმყოფი წინა ხელისუფლების დროს იყო სახელმწიფო. ის იყო მთავარი შემკვეთი ბიზნესისა და ეკონომიკისთვის. თუ ისევ დარჩება სახელმწიფო ამის დამკვეთი, ის დიდხანს ამას ვერ გაუძლებს.

ლევან კალანდაძეს მიაჩნია, რომ ახლა მნიშვნელოვანია სწორი პოლიტიკის გატარება ბიზნესთან მიმართებით, მაქსიმალური თავისუფლება ბიზნესს, თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს უკონტროლობას, როცა საუბარია ახალი ხელისუფლების ინიციატივებზე, მაგალითად, ანტიმონოპოლიურ სამსახურზე. ეს რეგულაცია ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა, ასევე იყო საუბარი ბიზნესომბუდსმენზე. ესეც ვერ ამუშავდა, სასტარტო პირობები კარგია, განცხადებები კარგია, დანარჩენი დამოკიდებულია იმაზე, ამ განცხადებებს რა კონკრეტული ქმედებები მოჰყვება.

„ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური ექსპერტის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების საკითხი. ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს ორ მილიარდს ელოდება, ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ ესეც იმ გზავნილებზეა დამოკიდებული, რომელიც ხელისუფლების მიერ არის გახმოვანებული და ასევე კონკრეტულ ქმედებებზე.

ხადურმა ახსენა ორი მსხვილი ინვესტორი, „ტატა გრუპი“ და „დაბი ჯგუფი“. ლევან კალანდაძე განმარტავს, რომ „ტატა გრუპი“ ინდური ჯგუფია, დაბი ჯგუფი არაბულია. ორივე უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციაა, მსხვილი საინვესტიციო პაკეტი აქვთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა ეს მაინც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ხელსაყრელი ბიზნესგარემო შეიქმნება საქართველოში. საქართველო უნდა გახდეს გამორჩეულად მიმზიდველი კაპიტალისთვის.

„მე შევეშფოთდი, როცა ხელისუფლებამ დაიწყო შრომითი კანონის გადახედვაზე საუბარი. შრომითი კანონმდებლობა მორგებული იყო ინვესტორების ინტერესებზე, ახლა დიამეტრულად შეიცვალა პოლიტიკა, დამსაქმებლის ინტერესის ჩაჩოჩება ხდება, მთელი აქცენტი დასაქმებულის ინტერესზე კეთდება, ეს იქნება შემაფერხებელი ფაქტორი უცხოელი ინვესტორებისთვის. თუ ბიზნესს კომფორტული გარემო არ შევუქმენით, ის არ ჩადებს ინვესტიციებს საქართველოში. შედეგად მივიღებთ იმას, რომ სამუშაო ადგილები არ შეიქმნება“, – ფიქრობს ლევან კალანდაძე.

ფინანსთა მინისტრმა საზოგადოებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა. ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირების პროცესის დაწყების შესახებ, ხადურის ინფორმაციით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამომხმარებლო სესხები, არამედ ბიზნესსესხები. ამ მიზნით რამდენიმე საინვესტიციო ფონდი იქმნება საქართველოში, რომელიც სესხების შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით გაცემას შეუწყობს ხელს. გაიზრდება ბანკებს შორის კონკურენცია.

ამ საკითხზე „ახალი მემარჯვენეების“ ეკონომიკური ექსპერტი მიიჩნევს, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის სესხების საპროცენტო განაკვეთების შემცირების თვალსაზრისით. არის ზოგან კამპანიური ხასიათის შემთხვევები, როცა ესა თუ ის ბანკი მომხმარებელს გაუმჯობესებულ პირობებს სთავაზობს, მაგრამ ამას მასობრივი და მუდმივი ხასიათი არ გააჩნია. იდეას საინვესტიციო ფონდის შექმნის თაობაზე, კალანდაძე იწონებს. მან შეიძლება პოზიტიური როლი შეასრულოს ბიზნესისთვის, სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის, ფერმერებისთვის, იაფ და კონკურენტუნარიან საკრედიტო რესურსზე წვდომის გაზრდის თვალსაზრისით, რაც ეკონომიკისთვის ძალიან კარგია, ასევე სოციალური გარანტიების შექმნის კუთხითაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ფონდებთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშნები გაჩნდა. კონკრეტულად ამ ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით არის დიდი ინტერესი. მაგალითად, თუნდაც რა წყაროებით შეივსება ეს ფონდები, რა პრიორიტეტები ექნება, ამას უნდა მოჰყვეს ამ პროექტის სტრატეგიული განვითარების გეგმა.

„ეს უნდა მოიცავდეს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, ის ფინანსური გათვლები, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ამ ფონდს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ხელისუფლება მხოლოდ სიტყვიერი განცხადებებით შემოიფარგლა. რისკფაქტორებისა და ტექნიკური დასაბუთების გათვლებით კონკურეტული ინფორმაციები ვერ მივიღეთ. პოზიტიური მოლოდინი რომ არის საზოგადოებაში ამ ფონდთან დაკავშირებით, ეს კარგია, მაგრამ, როგორც სპეციალისტს, კონკრეტულ მიმართულებაში კარგად ჩახედულ ადამიანს, მე უფრო მეტი ინფორმაცია მჭირდება, რათა ვისაუბრო იმ რისკებზე, რომლებსაც შეიძლება ახლდეს ამ პროექტის განხორციელებას ან რა ბენეფიტი შეიძლება მიიღოს სახელმწიფომ ამ ფონდიდან“, – აცხადებს ლევან კალანდაძე.

ფინანსთა მინისტრმა პრესკონფერენციაზე კიდევ ერთ საინტერესო მონაცემზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, თებერვალში ექსპორტის მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ თვესთან მიმართებით გაიზარდა 10,5%-ით. საქართველოდან გადის პროდუქტი, რომელიც ადგილზე იწარმოება, ხოლო ჯართისა და რეექსპორტის წილი შემცირდა.

ლევან კალანდაძის აზრით, მხოლოდ ერთი თვის მონაცემები ვერ იძლევა სრულფასოვან წარმოდგენას. ბიზნესისთვის დამახასათებელია გარკვეული სეზონურობა. ამ დროს იზრდება ერთი მაკროეკონომიკური პარამეტრი, მაგალითად, შეიძლება გაიზარდოს იმპორტი და შემცირდეს ექსპორტი. მთავარია, ეს ზრდა დაფიქსირდეს გრძელვადიან პერსპექტივაში. ერთი წლის მონაცემების ანალიზი მაინც არის საჭირო იმისათვის, რომ ვისაუბროთ, რამდენად ეფექტურია ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკა.

„ის ყიჟინა, რომელიც გაისმოდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის მხრიდან, რომ სტაგნაციაა, თავში ხელი უნდა ვიცეთ – ეს არასწორი მიდგომაა. წლის დასაწყისში გაუარესებული იყო მაკროეკონომიკური პარამეტრები, თუმცა ეს ყველაფერი გამომდინარეობდა იქიდან, რომ წინა წლის განმავლობაში ყოფილი ხელისუფლების მიერ არაეფექტური და შედეგზე არაორიენტირებული პოლიტიკა იყო გატარებული. ყველა მაკროეკონომიკური პარამეტრების წარმატებაც და წარუმატებლობაც ახლა უკვე ამ ხელისუფლების პასუხისმგებლობა იქნება“, – ამბობს ლევან კალანდაძე.

მარინა კაჟაშვილი: „დროა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებშიც გამოზაფხულდეს“

შორენა გონგლაძე

ქართველ ოსური მისია სახალხო დიპლომატიის ჯეთხით სეიიოზელ აქტიურობას იწყებს. მისიის ეთეთი დამფუძნებელი მარინა ჯაჟაშვილი ახალ ხელისუფლებაზე დიდ იმედებს ამყარებს. ხა იდეები აქვს ქართველ-ოსურ მისიას და ხის გაჯეთებას გეგმავენ ამაზე მარინა ჯაჟაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

მარინა კაჟაშვილი:

– ქართულ-ოსური მისიის დაფუძნების შემდგომ უამრავი ახალი იდეა მებადება, რომელთა გასაჯაროებისგანაც თავს ვიკავებდი იმის გამო, რომ მავანს კიდევ ერთხელ არ მიეთვისებინა ჩემი იდეები, ისევე როგორც ,,იუსტიციის სახლის“ შექმნის იდეა. ჩვენი მისია, რომელშიც გაერთიანებულია საზოგადოებისათვის ცნობილი, ღვაწლმოსილი და დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები, ვფიქრობთ და ვცდილობთ ჩვენი დიდი გამოცდილება მოვახმაროთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას. დღეს საქართველოში უფრო მეტად კინკლაობა შეინიშნება ძველსა და ახალ მთავრობას შორის, ვიდრე საქმის კეთება. ღა რასაკვირველია ძველ ხელისუფლებას აწყობს ახალი მთავრობის ამ გზით პარალიზება, რაც სამომავლოდ აისახება ქვეყნის მუშაობის შედეგებზე, ამიტომ ქართულ ოსური მისია ამ კინკლაობაში ჩაბმას არ აპირებს და ახალ მთავრობასთან ერთად, შეთანხმებით, სიყვარულით და ერთმანეთის მხარში დგომით ვიწყებთ პირდაპირ საქმეზე გადასვლას ლაპარაკის სანაცვლოდ!

– რის გაკეთებას აპირებთ?

– მოგეხსენებათ, თითოეული ჩვენთაგანის მიზანი ერთია. ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს ქვეყანაში დაისადგუროს მშვიდობამ, რამეთუ დროა გამოზაფხულდეს ქართულ-ოსურ ანუ ქართულ-სამეზობლო ურთიერთობებში! ყველასათვის კარგადაა ცნობილი ბოლო ორ ათეულ წელზე მეტია, საქართველოში გაუთავებელ მოუგვარებელ პროლემად იქცა ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური, ქართულ -რუსული ურთიერთობები, ლამის იყო და მავანმა ჩვენს ძმებ ებრაელებთანაც წაგვკიდეს, რომელთანაც საუკუნოვანი ისტორია გვაკავშირებს. ხშირად მებადება აზრი, ნუთუ ასეთი მოურიგებელი ერი ვართ ქართველები, რომ ყველა ჩვენს საუკუნოვან ძმებთან ურთიერთობა გაგვიფუჭდა? იქნებდა ვიღაცას აწყობდა ეს კიდეც? გვიფიქრია ამაზე?

– თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– მგონია, რომ ყველაფერი ეს, ჩვენი წინამორბედი ხელისუფლების არადიპლომატიური და წინდაუხედავი პოლიტიკური ნაბიჯების დამსახურებაა. ამ ყველაფრის დაგვირგვინება იყო ახალგაზრდა ვაიპოლიტიკოსების გამოჩენა ხელისუფლებაში, მე პირადად მეტს არც ველოდი 21 წლის დეპუტატებისაგან, როცა თვით 50 წლს მიღწეულმა პრეზიდენტმაც კი, ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში კრახი განიცადა. ყოველივე ამან კი მოგვიტანა – ათასობით დევნილი ოჯახი, ასობით დაღუპული ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოსახლე ორივე მხრიდან, დაკარგული მამაპაპეული საფლავები და ტერიტორიები. შეგახსენებთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, მხოლოდ დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში, ფრონის ხეობაში 30-ზე მეტი ქართული სოფელი დაიკარგა, თავს აღარ შეგაწყენთ ახალგორის სოფლების ჩამონთვალით, აი ამ შედეგების ფონზე, კიდევ მეტად ურცხვად გვიტასტურებს ძველი ხელისუფლება ქვეყნის პროგრესულობას, დემოკრატიასა და გამარჯვებას. ჩვენ, სახალხო დიპლომატია ანუ ,,ქართულ-ოსიური მისია“ ვიწყებთ მოძრაობას ჩვენი ქვეყნის დასახმარებლად, თუ რა საკვირველია ჩვენი ახალი ხელისუფლებისაგან მხარდაჭერას მივიღებთ, რისიც დიდი იმედი გვაქვს! მე პირადად, როგორც 23 წლის ცხინვალიდან დევნილი, დღემდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ორ მხარეს შორის შერიგების წინააღმდეგნი მხოლოდ ცხინვალსა და აფხაზეთში გარკვეული წრეები იყო, მაგრამ მე დღეს ბევრად დიდ უბედურებას წავაწყდი, როცა ისევ ჩვენს ქართველებში აღმოვაჩინე გარკვეული ჯგუფი, რომელთაც ჩვენს ძმებთან შერიგების სურვილი არა აქვთ, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ ყველა ერთად უნდა გავერთიანდეთ და ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, რამეთუ ,,ძალა ერთობაშია“, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ ბოლო 9 წლის განმავლობაში ცხოვრების ეს ტრადიციული პრინციპი ,,გათიშე და იბატონეს“ პრინციპით ჩაანაცვლა. ჩვენს მისიას აქვს თავისი სამოქმედო გეგმა რომელსაც ეტაპობრივად შემოგთავაზებთ.

– ახლა არ შეიძლება ამ გეგმაზე საუბარი?

– როგორ არა. გეგმა ასეთია: 1. ურთიერთმიმოსვლა ცხინვალისა და აფხაზეთის მიმართულებით და ადამიანთა ურთიერთობებისათვის პირობების შექმნა. ჩვენი წინადადება, ასეთია საქართველოს ყველა მოქალაქეს ქართული მხარისაგან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უნდა შეეძლოს გადაადგილება, როგორც სოხუმის ასევე ცხინვალის მიმართულებით.. 2. პატიმართა საკითხი სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან საუბრისას ამ თემით სპეკულაციის საფუძველი ყველას უნდა მოვუსპოთ. გვჯერა ჩვენს გულწრფელ დამოკიდებულებას ჩვენი ძმების ასეთივე განწყობა მოყვება. ეს კი კარგი საყრდენი იქნება მომავალი ურთიერთობისათვის. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილსა და სასჯელაღსრულების მინისტრს ბატონ სოზარ სუბარს. სახალხო დამცველთან შეხვედრა შედგა და გაიზარა ჩვენი მოსაზრებები პატიმართა სიის დაზუსტებასა და ქართულ ციხეებში მათი მონახულების შესახებ და თანადგომაც აღგვითქვა. მანვე წამოაყენა მოსაზრება პატიმართა გაცვლის თაობაზე ოსურ მხარესთან , რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მისიის სახელით. 3.პოლიტიკური დევნილები. ,,ქართულ-ოსური მისია“ სრულიად იზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას პოლიტპატიმრებსა და პოლიტდევნილების შესახებ, რამეთუ მათ გაბედული ნაბიჯი გადადგეს, მაგრამ პრობლემა სრულიად უნდა მოიხსნას. განხილულ იქნას ბიზნესმენი გოჩა ძასოხოვისა და კონსტანტინე სალიას საკითხი. გოჩა ძასოხოვიოვმა უაზრობა უწოდა სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული მთავრობის შექმნის იდეას, რადგან მიაჩნდა რომ ეს არც ქართველებისათვის და არც ოსებისათვის არ იყო კარგი. მის გამო თქვა უარი სამხრეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარეობაზე დევნილობაში, დეპუტატობაზე ლიახვის ხეობიდან. ერთ დღეში პრეზიდენტის მიერ გმირად, წარმატებულ ბიზნესმენად და მეცენატად წოდებული, მის მიერვე შერისხულ გახდა. ,,ქართულ-ოსურმა მისიამ“ ერთხმად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ყველაფერი გავაკეთოთ, რათა დადგინდეს სიმართლე ბატონ გოჩა ძასოხოვთან დაკავშირებით და ქვეყნისათვის საჭირო კაცი ქვეყანაში დაბრუნდეს და 4. დევნილთა საკითხი. აქ, პირველ რიგში დევნილების სახელით უღრმეს მადლობას ვუხდით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა , განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს – ბატონ დავით დარახველიძეს, მის მიერ ბოლო თვეების განმავლობაში გაწეული საქმიანობისათვის და დევნილი მოსახლეობის გულწრფელი ნდობის აღდგენისათვის. ბატონმა დავითმა კარგად გაიგო და გულთან მიიტანა დევნილთა 23 წლის გასაჭირი. ჩვენ დევნილები მივმართავთ ბატონ ბიძინას და ბატონ დავითს თხოვნით, იზრუნონ დევნილთა უფასო სწავლა განათლებასა და ჯანდაცვაზე, რამეთუ 23 წლის ომგამოვლილ და ორჯერ ომ გადატანილ დევნილ ოჯახებს არ გააჩნიათ თანხა სწავლა-განათლებისა და ჯანმრთელობის დასაცავად. ბოლო მონაცემებით უამრავ დევნილ სტუდენტს შეუწყდა სწავლის პროცესი, გადასახადის გადაუხდელობის გამო. ამიტომ დევნილები ვითხოვთ დახმარებას ,,დევნილთა უფასო სწავლა განათლებისა და ჯანდაცვის შესახებ.“ და კონფლიქტებისა და დევნილ მოსახლეობაზე უცხოეთის დონორი სახელმწიფოების მიერ გადმორიცხული თანხები ერთხელ მაინც, სასიკეთოდ მოხმარდეთ დევნილილ მოსახლეობას. დევნილი ახალგაზრდებისათვის განათლების რეფორმის ასეთი მიმართულება მიუთითებს დევნილთა გზას სრული გაუნათლებლობისაკენ, რათა მათ მომავალში ვერ გაათვითცნობიერონ თუ რა და რისთვის მოხდა კონფლიქტები და დაივიწყონ წინაპართა ადგილები. დევნილები ამ ეტაპზე, მათი გასაჭირის ფონზე ეწინააღმდეგებიან და მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ ისეთი ტიპის პროექტები, როგორიცაა გაზის, შუქის და სხვათა შეყვან – გაყვანა, რამეთუ ეს ისევ სააკაშვილისა და სანაკოევის პროექტების სერიის გაგრძელებაა, რომლიდანაც ყველამ კარგად დაინახა, რომ მხოლოდ პროექტის ავტორთა გამდიდრება მოაქვს! ასევე ქართულ-ოსური მისია ვაცხადებთ, რომ განახლდეს ერგნეთის ბაზრობა. იმისათვის, რომ დაიწყოს ქართველებსა და ოსებს შორის შერიგება და ურთიერთობა, დროულად უნდა იქნას აღდგენილი ერგნეთის ბაზრობა, მაგრამ არა ძველი სტერეოტიპებით, არამედ თანამედროვე ევოსტანდარტების შესაბამისად აშენდეს სავაჭრო ცენტრი, სადაც იქნება განთავსებული მოსასვენებელი კაფე-დარბაზის სახით, სადაც შედგება ათეული წლების უნახავი ადამიანების ემოციებით დატვირთული შეხვედრები. ვფიქრობთ ის პატარა სოფელი, რომელიც ორი ათეული წლის ჟამთასვლის ისტორიამ პირისაგან მიწისა აღგავა, პატარა სოფელ მამამისაანთ უბანმა ერთ დღეს სამშობლოს 5 ახალგაზრდა მიუღვნა, ვფიქრობ იმსახურებს ,,მინი კარფურს“ ქართულ-ოსური

ფიქრია ჩიხრაძე: „სამართლიანობის აღდგენა პოლიტიკურ დევნაში არ უნდა გადაიზარდოს“

შორენა კოწოწაშვილი

რას ადასტურებს ბიძინა ივანიშვილის კოტე კუბლაშვილთან შეხვედრა და რა საფრთხის წინაშე დგას დღეს სასამართლო? ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძესთან.

– ქალბატონო ფიქრია, ვენეციის კომისიის დასკვნას საკმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა. ხელისუფლებაც და საპარლამენტო უმცირესობაც აცხადებს, რომ ვენეციის კომისიამ მათი წინადადებები გაითვალისწინა ანუ მათი პოზიციის სისწორე გამოკვეთა. რეალურად რა პროცესების დასაწყისს განაპირობებს ვენეციის კომისიის დასკვნა?

– ამიტომაც ძალიან მაინტერესებდა, თვითონ დასკვნა როგორი იქნებოდა. როცა დასკვნას წაიკითხავ, ხვდები, რომ ყველა მხარე ცდილობს, სათავისოდ გამოიყენოს და ისე მიაწოდოს საზოგადოებას. ის, რომ ჩვენს სასამართლო სისტემას სჭირდება სერიოზული რეფორმა და რეორგანიზაცია, ამაში ორი აზრი არ არსებობს. ყველა მანამდე არსებული საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაცია თუ დასკვნა მიუთითებდა იმას, რომ სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი შტო ხელისუფლებისა და რომ ის ხშირ შემთხვევაში ძალიან იყო გადაჯაჭვული ხელისუფლების ინტერესებთან და მისი ნების გამტარებელი იყო. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ახლა დგას მეორე საკითხი – გაათავისუფლო ერთი გავლენისაგან და, შესაბამისად, არ აღმოჩნდეს ახალი ხელისუფლების გავლენის ქვეშ. ვენეციის კომისია იძლევა რეკომენდაციას, რომ იუსტიციის საბჭოს წევრების ვადა მოიწუროს ბოლომდე, ხოლო ახალი ხელისუფლება არ აპირებს, ეს ვადა ბოლომდე იქნეს ამოწურული. მთავარი საკვანძო საკითხი, ალბათ, მაინც ის არის, რომ ის ორგანო, რომელიც შეარჩევს იუსტიციის საბჭოს, ის იყოს დამოუკიდებელი პოლიტიკური გავლენებისაგან. მოგეხსენებათ, როცა ოპოზიციაში ხარ, კრიტიკულად ხარ განწყობილი ხელისუფლების მიმართ, თუმცა ჩასაფრებულის პოზიციაში არ ვარ. მინდა ვთქვა, რომ ძალიან პოზიტიური იყო ბიძინა ივანიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯი, როდესაც ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილთან მივიდა. აქ საუბარი კონკრეტულად კუბლაშვილზე კი არ არის, რომლის მიმართაც შეიძლება ბევრი პრეტენზია არსებობდეს. ამ მხრივ გამოიხატა დამოკიდებულება პატივისცემისა, როგორც ხელისუფლებისა და დამოუკიდებელი შტოს მიმართ. კარგი იქნება, თუ ეს დამოკიდებულება, რაც იმ დღეს ვიზუალურად და დეკლარირებულად გაცხადდა, თუ იქნება გადატანილი კანონმდებლობაშიც. ის, რომ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, ალბათ, არ უნდა იყვნენ პარალელურად იუსტიციის საბჭოს წევრები, ჩვენა ამას ვიზიარებთ და ვეთანხმებით; ის, რომ მოსამართლეთა კონფერენცია უნდა იყოს მთავარი დამაკომპლექტებელი იუსტიციის საბჭოსი, ეს აბსოლუტურად მისაღებია, მაგრამ არ ვარგა, როდესაც იმავე მოსამართლეთა კონფერენციას ულტიმატუმის ტონით ელაპარაკები და ეუბნები, რომ მათ სასწრაფოდ უნდა შეცვალონ გადაწყვეტილება. აქედან უკვე ერთი ნაბიჯია მერე, რომ უთხრა: აი, ეს კანდიდატურები უნდა იქნენ არჩეული. ჩვენ ძალიან სერიოზულად შეგვიძლია, ეს მდგომარეობა, რომელიც ახლა არის, გამოვიყენოთ და სასამართლო მართლაც რეალურად დამოუკიდებელი გავხადოთ. ერთი მხრივ, სააკაშვილის გავლენები შეიძლება მართლაც არის დარჩენილი მინიმალურად ან კონკრეტულ მოსამართლეებზე, მაგრამ, ვინაიდან სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა დღეს აღარ ფლობს სახელისუფლებო ბერკეტებს, შესაბამისად, ეს გავლენაც მცირდება და რეალურად მიღევადია. თუ მოვახერხებთ იმას, რომ ახალმა ხელისუფლებამ არ დაიწყო იმავე გავლენის მოპოვების მექანიზმების შექმნა, იქნებ ეს გარდამავალი პერიოდი გამოდგეს სწორედ იმისათვის, რომ სასამართლო ბუნებრივად დაშორდეს ძველი ხელისუფლების გავლენას და ახალი გავლენის ბერკეტებიც არ შეიქმნას. და მართლაც, მოვიდეთ იმ რეალობაში, რომ სასამართლო გვეგულებოდეს ყველას, პოლიტიკოსებსაც და რიგით ადამიანებსაც იმ ადგილად, სადაც თუ ვინმე დაგჩაგრავს და შენს უფლებებს შელახავს, სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანს.

– თქვენ კი ამბობთ, რომ სააკაშვილის გუნდის გავლენა მილევადია სასამართლო ხელისუფლებაზე, თუმცა ვინც ამ სისტემას კარგად იცნობს, ისინი ამბობენ, რომ ბევრი მოსამართლე მზად არის, ნაციონალებს სამარეშიც კი ჩაჰყვეს.

– ვფიქრობ, ეს ცოტა გადაჭარბებული წარმოდგენაა. დარწმუნებული ვარ, თავად ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა ძალიან დიდ ნაწილს ნამდვილად აღარ სჯერა, რომ ნაციონალური მოძრაობა შეიძლება უახლოეს ხანში ხელისუფლებაში მობრუნდეს. თუ ისინი შეინარჩუნებენ ერთობას და სწორ პოლიტიკურ ოპოზიციონერობას შეძლებენ, შესაძლოა, ჰქონდეთ პერსპექტივა, რომ როგორც პოლიტიკური ძალა, გადარჩნენ. არა მგონია, ეს მოსამართლეები ისეთი მიამიტები იყვნენ, რომ ამას ვერ ხვდებოდნენ. ვფიქრობ, მოსამართლეთა კორპუსი ძალიან შეეჩვია ხელისუფლების კალთის ქვეშ ყოფნას და ვშიშობ, კვლავ არ გაუჩნდეს სურვილი, ახალი ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოექცეს, ისე, როგორც ბევრმა ვინმემ მოინდომა. ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში უამრავი ფაქტის მომსწრე ვართ, თუ როგორ ბარგდებიან ადამიანები ნაციონალების ბანაკიდან ივანიშვილის ბანაკში.

– საპარლამენტო უმრავლესობაში კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტთან დაკავშირებით გაჩნდა განცხადებები, ივანიშვილმა კი კუბლაშვილის იმპიჩმენტი გამორიცხა. რას ნიშნავს ეს, კოალიციაში უთანხმოებას?

– მე ვფიქრობ, რომ ბევრი განცხადება კეთდება გარკვეულ მოსაზრებებზე დაყრდნობით და არა იმით, რომ გუნდი შეიკრება, მიიღო გადაწყვეტილება და ამის მიხედვით ხდება პოზიციების გამყარება. ბევრი იყო მოწადინებული, რომ ძალიან დიდი დაპირისპირება ყოფილიყო ამ თემაზე და მკაცრი და შეუვალი ყოფილიყო ხელისუფლების პოზიცია, მაგრამ ივანიშვილის ამ ნაბიჯის შემდგომ შეატყობდით, რომ ასეთი აგრესიული დამოკიდებულება შესუსტდა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ამ შემთხვევაში, კარგია თუ ცუდი, ამაზე ნუ ვიმსჯელებთ ამ წუთში, მაგრამ ბევრი რამ სწორედ ივანიშვილის ფაქტორზეა დამოკიდებული და არა სხვა რამეზე. აქედან გამომდინარე, სწორედ ივანიშვილის გადაწყვეტილებებს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა.

– ივანიშვილის კუბლაშვილთან სტუმრობა იმაზე მიანიშნებს, რომ „ქართული ოცნება“ პოლიტიკური ამნისტიის მოთხოვნას ნაციონალებს უკმაყოფილებს?

– ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. ვფიქრობ, ცოტა მახინჯი ფორმა შეიძინა ამნისტიის თემაზე ლაპარაკმა. ეს თემა საზოგადოებისთვის ძალიან გახსნილი არ არის, თუნდაც ის პროცესი, რომელიც წინ უძღოდა საკონსტიტუციო ცვლილებებს, მე ვფიქრობ, მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც ის წინადადებები, რომლებიც იყო შემოთავაზებული ხელისუფლების მხრიდან, მათ შორის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე, ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ამ ამნისტიის ნაწილში რაღაც შეთანხმებები ვერ შედგა, ამაზე ითქვა უარი. მე ვფიქრობ, ეს დიდი შეცდომა იყო მათი მხრიდან და საზოგადოების თვალში მაინცდამაინც მისაღები ნაბიჯი არ იყო. ახლა ხელისუფლებას აქვს ასეთი დილემა, რაც მართლაც არ არის იოლი. ერთი მხრივ, სამართლიანობის აღდგენა და თუ ვინმეს დანაშაული მიუძღვის წინა ხელისუფლებიდან და იმის გამო, რომ დღეს ისინი ოპოზიციაში არიან, ინდულგენცია ვერ გაიცემა და არც უნდა გაიცეს. მაგრამ სად გადის ზღვარი ამ დანაშაულებისა? ვთქვათ, თუ კორუფციულ სისტემურ დანაშაულზეა ლაპარაკი, იქ, რა თქმა უნდა, დამნაშავეა სისტემის პირველი პირი და კიდევ რამდენიმე ადამიანი, მაგრამ ქვემოთ სადამდე ჩადის ეს ყველაფერი? ეს მართლაც ისეთი საკითხია, რომ გონივრული ზღვარია მოსაფიქრებელი, რომ ახლა გამოთავისუფლებული ციხეები კიდევ ახალი ნაკადით არ შეივსოს, თან ის ადამიანებიც, რომლებიც გარკვეული იძულების წესით იყვნენ მოქცეული ამ ვითარებაში, არ მოყვნენ ამ წნეხში. რთულია ეს ვითარება, არ ვამბობ, რომ მარტივია. ხალხს ნამდვილად სჭირდება, დამნაშავე დაისაჯოს.

– და ასეც უნდა იყოს, საზოგადოება ელოდება დამნაშავე მაღალჩინოსნების დაპატიმრებას.

– ასეც უნდა იყოს, თუნდაც იმის გამო, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ, თუ ისინიც ჩაიდენენ იმავე ტიპის დანაშაულს, მათაც მოეკითხებათ. დაუსჯელობის სინდრომი არ უნდა იყოს გამჯდარი საჯარო მოხელეთა შორის. ამას მოაქვს მერე ყველა სხვა უბედურება და ამაში იჭყლიტება საზოგადოება. აქედან გამომდინარე, ზღვარი უნდა იქნეს დაცული იმ დონეზე, რომ ეს არ გადავიდეს პოლიტიკურ დევნაში, მაგრამ, ამავე დროს, აღსრულდეს სამართლიანობაც და სამართალიც, ვინაიდან სხვანაირად საზოგადოება იფიქრებს, რომ აქაც რაღაც გარიგებასთან გვაქვს საქმე ორ პოლიტიკურ ძალას შორის.

– ბევრი მაღალჩინოსანი პატიმრობას ასცდა სასამართლოს წყალობით, რაც საზოგადოებას აფიქრებინებს, რომ პროკურატურა სუსტია. თქვენც ასე ფიქრობთ?

– გარკვეულწილად, იგივე გირგვლიანის საქმე, რომელიც, წესით, გამოძიებულია, სტრასბურგშიც იყო და დაცვის მხარეს ყველა მტკიცებულება ჰქონდა წარმოდგენილი, ვერ ვიგებ, ამ შემთხვევაში რაში მდგომარეობას გამოძიების გაჭიანურება. ბევრი სხვა საქმე იყო ასეთი გახმაურებული. მოდით, ასე ვთქვათ, სიჩქარეს ნუ შევწირავთ სამართლიანობას. როდესაც ანგაჟირებული საქმეები გვაქვს, ძალიან მნიშვნელოვანია, ყველაფერი სწორად გაკეთდეს. მე სულ ვამბობდი, ბაჩო ახალაიას მიმართ საჩვენებლად გამჭვირვალედ და აბსოლუტურად აწონილ-დაწონილი, ყველანაირი მტკიცებულებით უნდა იქნეს საქმე წარმოდგენილი საზოგადოების თვალში, თორემ შეიძლება ბაჩო ახალაია, რომელიც გუშინ მონსტრად იყო წარმოჩენილი, ხვალ მართლაც პოლიტიკურ დევნილად გადაიქცეს ხალხის თვალში, თუ საქმე სათანადო მტკიცებულებებით არ იქნება გამყარებული. ასე რომ, ერთი მხრივ, მე მინდა, გარკვეული საქმეები სწრაფად დასრულდეს, მაგრამ არა მაქვს განცდა, რომ სასწრაფოდ დაასრულონ ეს ყველაფერი. მთავარია, შედეგი, რომელსაც პროკურატურა და სასამართლო დადებს, აბსოლუტურად უეჭვო იყოს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მ ი მ ა რ თ ვ ა

1993 წლის 15-18 მარტის სამხედრო ოპერაციის მონაწილეებს, აფხაზეთის ომის ვეტერანებს, დევნილ თანამემამულეებს

ძვირფასო თანამემამულენო!

ბევრი ტკივილი და განსაცდელი ახსოვს სრულიად საქართველოს მრავალჭირნახულ მიწას, მაგრამ მარცხს მუდამ თან ახლდა მომავლის იმედი, გამარჯვებისაკენ სწრაფვა და მისი მიღწევით გამოწვეული სიამაყე და სიხარული.

20 წელია, საკუთარ კარ-მიდამოს მოწყვეტილებს გვითენდება დევნილობაში, 20 წელია, სანთლებს ვუნთებთ აფხაზეთში გაუპატიოსნებელ მიცვალებულებსა და უჭირისუფლო საფლავებს, ეთნიკური წმენდის უდანაშაულო მსხვერპლთ. მიუხედავად ამისა, ღრმად გვწამს, რომ აფხაზეთში 1992-93 წლებში დატრიალებულ ტრაგედიას გადაფარავს ის ბედნიერი დღე, როდესაც აფხაზეთში დაბრუნდება მისი ძირძველი მოსახლეობა, კვლავ ყვავილებით შეიმკობა მამა-პაპათა საძვალეები, გაპატიოსნდება ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა საფლავები. ამის მყარ იმედს გვისახავს უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში ჩვენი დევნილი თანამემამულეების მიერ შენარჩუნებული მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტული შემართება, ზნეობა, ღირსება, ფსიქოლოგიური და სულიერი წონასწორობა. ამ უალტერნატივო სულისკვეთებას გვიმყარებს 1993 წლის 15-18 მარტს ქ. სოხუმის მისადგომებთან მდ. გუმისთაზე ჩატარებული თავდაცვითი საბრძოლო ოპერაცია, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში შევიდა, როგორც მაღალი პროფესიონალიზმისა და სამხედრო ხელოვნების ნიმუში, საქართველოს შეიარაღებული ძალების მებრძოლების სიმამაცის, სამშობლოსათვის თავდადების, უსაზღვრო პატრიოტიზმისა და მისაბაძი გმირობის მაგალითი. ჩვენ მუხლს ვიდრეკთ 15-18 მარტის სამხედრო ოპერაციაში მონაწილე ვაჟკაცების წინაშე, რომლებმაც სამშობლოს სამსხვერპლოზე უყოყმანოდ მიიტანეს საკუთარი სიცოცხლე. ჩვენი მეომრების მიერ გამოჩენილი უპრეცედენტო სიმამაცე და შეუპოვრობა თვით რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალიტეტმა, ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა შეაფასეს, როგორც ქრესტომათიული, სამხედრო სახელმძღვანელოებში შესატანი სამაგალითო სამხედრო ოპერაცია. ეს გახლავთ ჩვენი დიდი წინაპრების გმირული და მებრძოლი გენის გაელვება, რამეთუ ისინი ერთიანობითა და ჭირთამძლეობით იყვნენ ქებულნი უმძიმესი განსაცდელის ჟამს. სწორედ ამით აკვირვებდნენ მტერს და აღწევდნენ გამარჯვებას.

ჩვენ ქედს ვიხრით და პატივს მივაგებთ ათასობით სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლს, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, წამებით დახოცილ მშვიდობიან მოსახლეობას.

ძვირფასო თანამემამულენო, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, გარდა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა რეალიზაციისა და სახელმწიფოს ნების აღსრულებისა, ცალსახად მოითხოვს ჩვენი საზოგადოების აუცილებელ კონსოლიდაციას, აფხაზეთის პრობლემის აქტუალიზაციას, დევნილთა სოციალური პრობლემების მოგვარებასა და ამ საკითხების აყვანას სახელმწიფო პოლიტიკის განსაკუთრებულ რანგში და ამ პროცესებში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის ხარისხის ამაღლების აუცილებლობას.

ერთად დავდგეთ ერი და ბერი. მხოლოდ იმედი, მხოლოდ ხვალინდელ დღეზე ზრუნვა, მომავალ ურთულეს გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა და მშობლიურ კერამდე გზის გაკაფვა, დიდი სიძნელეების გადალახვა და სრულიად საქართველოს გამთლიანება უნდა იყოს ყველა ჩვენგანის საზრუნავი ცალ-ცალკე და ერთად. მოვიკრიბოთ ძალა, ყოვლისშემძლე მამაპაპისეული გენი გავაღვიძოთ და პირნათლად მოვიხადოთ ვალი მამულის, წინაპართა ხსოვნის, ჩვენი მომავლის წინაშე.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

სააკაშვილი ივანიშვილის განცხადებით შეშფოთებულია

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას „ჭორაობად“ მიიჩნევს და შეშფოთებას გამოთქვამს.

ასე ეხმაურება სააკაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ივანიშვილის მიერ გუშინ გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმად, კუბლაშვილს მძიმე დაავადება ჰქონდა, რომლის მკურნალობაშიც პრეზიდენტი დაეხმარა, რის გამოც მის მიმართ ვალდებულად გრძნობს თავს.

– ბოლო პერიოდში, სამწუხაროდ, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის თვალსაზრისით არასასიამოვნო ტენდენცია დამკვიდრდა. შეშფოთებული ვარ პრემიერ-მინისტრის დღევანდელი განცხადებით, რომელიც მან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გააკეთა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტანტინე კუბლაშვილს სერიოზული დაავადება აქვს, რაც გაუმართლებლად მიმაჩნია. პოლიტიკოსების მხრიდან ჭორაობა მიუღებელია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება კონსტიტუციითაა დაცული და მისი დარღვევა ყოვლად დაუშვებელია. პირადი პრობლემებით შანტაჟი და სპეკულირება 1990-იანი წლების დასაწყისის ყაჩაღურ, რუსულ, ოლიგარქიულ, კაპიტალისტურ მეთოდებს უფრო ჰგავს და არა 21-ე საუკუნის დემოკრატიული, ევროპული მთავრობის მოქმედებას. ეს საქციელი უკვე ახალი მთავრობის მოქმედების ტენდენციად იქცა. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ პარლამენტის უმრავლესობას უფრო მეტი გულისხმიერებით მოეკიდოს ჩემს მიერ ინიცირებულ კანონპროექტს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ“, – განაცხადა სააკაშვილმა.

პირველი

ზურაბ მებონია: „ჩვენ ბრძოლა მაშინ შეგვაწყვეტინეს, როცა ყველაზე მომზადებულები ვიყავით“

როგორ მოიგერიეს ჩვენმა მებრძოლებმა 1993 წლის მარტის შემოტევა სოხუმზე

შორენა მარსაგიშვილი

1993 წლის 15-18 მარტს სოხუმზე განხორციელდა ფართომასშტაბიანი იერიში ჰაერიდან, ზღვიდან, საარტილერიო დანადგარებიდან. ქართველმა მეომრებმა ენით აუწერელი საბრძოლო სულისკვეთება და ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს და სოხუმის აღების ოპერაცია სახელოვნად მოიგერიეს. გადამწყვეტი როლი ამ ბრძოლაში ქართულმა არტილერიამ შეასრულა. მოწინააღმდეგემ ამ შეტაკებაში 1500-ზე მეტი ცოცხალი ძალა დაკარგა. ეს იყო საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე რუსეთის პირველი ღია სამხედრო აგრესია, სადაც მან ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფიასკო განიცადა. ამ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის 16 მარტი ქართული არტილერიის დღედ აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ მარტის ბრძოლების მონაწილე რამდენიმე რესპოდენტს.

ზურაბ მებონია, 1992-1993 წლებში საზენიტო-საარტილერიო დივიზიონის მეთაური, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აპარატის დეპარტამენტის უფროსი:

– ჩვენი დაზვერვის მონაცემებით, მოწინააღმდეგის შემოტევა ქალაქზე უნდა განხორციელებულიყო 1 მარტს, მაგრამ გადაიდო 4 მარტამდე, 4 მარტი, იცით, აფხაზეთის გასაბჭოების დღეა და თითქოს ამ დღეს უკავშირებდნენ. არც 4-ში მოხდა იერიში. პირველიდან მოყოლებული ჩვენი მეომრები მზადყოფნაში იყვნენ, მაგრამ იერიშის მოლოდინი ძალიან გაჭიანურდა, 12 მარტამდე სულ დაძაბულები ვიყავით. აფხაზური მხარის გამოანგარიშებით, 10-15 დღის განმავლობაში სანგარში საომარი მზადყოფნისგან დაღლილი ქართველების დამარცხება გაცილებით იოლი იქნებოდა, ამიტომაც 15 მარტს ღამით დაიწყეს შემოტევა. ჯერ პოზიციების დაბომბვით დაიწყეს, მერე მასირებულად დაბომბეს ქალაქი, ამაში ჩაერთო საჰაერო ძალები, რომელიც აფხაზებს არ გააჩნდათ. ეს იყო რუსეთის სუ-25 ტიპის მოიერიშეები. დაახლოებით 3 საათიანი დაბომბვის შემდეგ თვითმფრინავებმა ჩამოკიდეს მანათობელი რაკეტები, რომ საბრძოლო პოზიციის განათების შემდეგ მოწინააღმდეგეს ადვილად გადმოელახა საზღვარი. მათი გეგმით, ორ ბატალიონს უნდა გადმოელახა მდინარე გუმისთა და მოემზადებინათ პლაცდარმი ძირითადი დამრტყმელი ძალისთვის – დაახლოებით 2000 მეომრისთვის, გზა გაეხსნათ სოხუმისკენ. მასირებული დაბომბვის დროს ჩვენ საპასუხო ცეცხლი არ გაგვიხსნია. ამ დროს ცეცხლის გახსნა თვითგანადგურებას ნიშნავდა, საარტილერიო დანადგარები ღამით ისე ანათებს, რომ ზუსტად ფიქსირდება, საიდან მოდის ცეცხლი. ისინი ელოდნენ, რომ ასეთი მასირებული დაბომბვის შემდეგ ჩვენი ძირითადი ძალა განადგურდებოდა და იერიშსაც ვერ გავუძლებდით. ჩვენ ღრმად ვიყავით ჩამარხული ბლინდაჟებში. ცეცხლი მაშინ გავხსენით, როცა მათ გადმოსვლა დაიწყეს. დაახლოებით 5 საათის განმავლობაში ვბომბავდით. ეს ძალიან დიდი დროა. ამიტომაც დიდი იყო მათი მხრიდან მსხვერპლი. ეს ორი ათასი კაცი, რომელიც უნდა გადმოსულიყო ჩვენს საზღვარზე, ფაქტიურად დარჩა იმ ფერდობზე – ან დაიჭრა, ან დაიღუპა. ასეთი შეტევის მერე უკან დაიხიეს. 16-ში დღისით გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ჩვენმა არტილერიამ, შეიძლება ითქვას, რომ სასწაული მოახდინა იმ დღეებში. საერთოდ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე რომ დივიზიონი გადაიყვანო, ჩამარხო, შეიარაღება განალაგო, კავშირგაბმულობის სისტემა ააწყო და ა.შ. ამას უნდა

12-14 დღე. ჩვენ კი 15 წუთში ვახერხებდით მეორე, მესამე და ა.შ. ხუთივე პოზიციიდან გაგვეხსნა ცეცხლი.

– თუკი ამას 14 დღე სჭირდებოდა, თქვენ როგორ ახერხებდით 15 წუთში?

– გეტყვით. ეს ჩვენი გამოგონება იყო, პოლიკოვნიკ გურამ ღრუბელაშვილის იდეა, რომელიც ვაგონშემკეთებელ-ინჟინერ ნოდარ ლოგუასთან ერთად განვახორციელეთ. სატვირთო პლატფორმაზე, რომელიც ლიანდაგზე გადაადგილდება ჩვენ თვითონ დავადულეთ საარტილერიო დანადგარი. ჯერ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ქვემეხების გადაკეთება მოგვიხდა, ტანკის სამიზნე ისე მივამაგრეთ, რომ დახურული პოზიციიდან შეგვძლებოდა ამ ქვემეხებიდან ტანკის ჭურვების სროლა. სამი დღე-ღამის განმავლობაში არ გვიძინია, ისე ავაწყვეთ ეს „ჯავშანმატარებელი“. 8 პალტორმაზე დავაყენეთ 8 ქვემეხი. ჭურვების საწყობიც მივაბით და ასე დაკომპლექტებული გადაადგილდებოდა ხუთ საბრძოლო პოზიციაზე. საერთოდ ქვემეხს 9 კაცი ემსახურება, ჩვენ კი 4 ვაკმარეთ. ძალიან მოხეხრხებული რამ იყო ეს მატარებელი. როგორც კი მოვრჩებოდით სროლას, ეგრევე გადავდიოდით სხვა პოზიციაზე ისე, რომ მტერს ჩვენი კოორდინატებისთვის ვერ მიეგნო. სროლა დაახლოებით 15-20 წუთი გრძელდებოდა და ასეულობით ჭურვს ვისროდით მოწინააღმდეგის მხარეს. მატარებლის გარდა მე სხვა პოზიციებზეც მეყენა ქვემეხები. ერთ-ერთი პოზიცია იყო მე-12 სკოლასთან, შუქურას რაიონში, სადაც იდგა რუსეთის სადესანტო-საიერიშო 500 კაციანი ბატალიონი. ქალაქში პოზიციის გასამაგრებელი ადგილის პოვნა რთული იყო, სადაც დავდგებოდით, ცოტა ხანში რუსები საპასუხო დარტყმებს ახორციელებდნენ და მშვიდობიან მოსახლეობას ხომ არ ჩავაგდებდით საფრთხეში? ამიტომაც მათ ბატალიონს უკან მივუყენე ჩვენი ქვემეხები. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მათი საპასუხო სროლის შემდეგ ჭურვები მათ ბატალიონს მოხვდა. ჩვენ რახან ჩამარხულები ვიყავით, არ დავშავდით. იმათმა პოლკოვნიკმა ვერტმფრენის დაჯდომის ნებართვა ითხოვა, იქნებ დაჭრილების და დახოცილების გადაყვანის უფლება მოგვცეთო.

– და ეს რუსების ბატალიონი ომის პერიოდში ჩვენს ქალაქში იყო მთელი თავისი შემადგენლობით?

– რა თქმა უნდა, ასეთი სამხედრო ნაწილები მათ რამდენიმე ჰქონდათ სოხუმში და ომის პერიოდშიც დარჩა... 17-ში ღამით ისევ შეეცადნენ საზღვრის გადმოლახვას. მათი უპირატესობა იმაში იყო რომ, ისინი ჩვენს პოზიციებს დაჰყურებდნენ ზემოდან. მაგრამ არტილერია საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ცეცხლისაგან იცავდა წინახაზს და არც იმ დღეს მისცა საზღვრის გადმოლახვის საშუალება. 18-ში მოწინააღმდეგემ საბოლოოდ უკან დაიხია. მაშინ საქართველოს ჯარების სარდალი იყო გენერალი კამკამიძე. მან როცა გაიგო, რომ ცოცხალი ძალის მინიმალური დანაკარგი გვქონდა, ჯერ გაუკვირდა, მერე კი გვითხრა: ცხელ წერტილებში რამდენიმე აფრიკულ სახელმწიფოში ვყოფილვარ, ავღანეთშიც, მაგრამ რაც თქვენ ამ დღეებში მოახერხეთ, ასეთი რამ არსად მინახავს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე მზად ვართ რუსეთის რეგულარული არმიის ნებისმიერ ნაწილს შევებრძოლოთ. ახლა მთავარია ძალები განვაახლოთ და მოვემზადოთ წინ წასასვლელად.

– თუმცა წინ არ წავსულვართ...

– ამის მიზეზი მე აქ გავიგე, თბილისში, დევნილობის პერიოდში. შევარდნაძემ თვითონ განაცხადა ტელევიზიით: – 18-ში დამირეკა ელჩინმა და მითხრა, თუ თქვენ გუდაუთში შეხვალთ, მე პასუხს არ ვაგებ იმაზე, რომ მოგიწევთ რუსეთის ფედერაციის რეგულარულ არმიასთან შეტაკება. რუსეთთან შეტაკება რომ თავიდან აგვერიდებინა, ამიტომაც არ გავეცი წინ წასვლის ბრძანებაო. მაგრამ, პირადად მე, ამას შევარდნაძის შეცდომად ვთვლი. ჯერ ერთი, რა თქმა უნდა, რუსეთი დაგვმუქრებოდა, აბა რას იზამდა? მეორეც, რუსეთის ჯართან ჩვენ ისედაც ვიბრძოდით უკვე... გენერალი კამკამიძე თბილისში გამოიძახეს და მას მერე მე ის აფხაზეთში არც დაბრუნებულა. ჩვენ ბრძოლა მაშინ შეგვაწყვეტინეს, როცა ყველაზე მომზადებულები და გამოცდილები ვიყავით... თქვენ ალბათ ნანახი გაქვთ ის ვიდეოკადრები, სადაც მარტში დამარცხებით გამწარებული არძინბა გაშმაგებული უყვირის, ლაჩრებსა და კურღლებს უწოდებს თავის მეომრებს.

– ანუ, ჩვენ ეს ბრძოლა რუსებს მოვუგეთ?

– სხვათა შორის, ჩვენს მხარეზე რუსებიც იბრძოდნენ. მძღოლი მყავდა სელეზნიოვი, კარგი ბიჭი იყო. ბორია გორონოვს ავტომატს არ ვაძლევდი, მაგრამ სექტემბერში სოხუმის დაცემის წინა დღეებში მაინც მივეცი. დაიღუპა საწყალი... ყველას დაგვწყვიტა გული, ტირილამდე.... ომის შემდეგ ჩვენ ის გმირის წოდებაზე წარვადგინეთ, მაგრამ ორდენის გადაცემას დღემდე ვერ ვახერხებთ მისი დედისთვის. აი, ესაა აფხაზეთის ომის საშინელება, როცა რუსების ერთი ნაწილისგან ჩვენ თავდასხმებს ვიგერიებდით, რუსების მეორე კატეგორია ჩვენს გვერდით იცავდა მშობლიურ სოხუმს იმავე მომხვდურებისგან და მესამე – შორიდან ადევნებდა თვალყურს. 15-16-17-18 მარტის ბრძოლების თითქმის ყოველი ეპოზოდი გმირობა იყო. სამწუხაროდ, ბევრი რამ არ არის ცნობილი საზოგადოებისთვის, მაგრამ მეომრებს ხომ კარგად გვახსოვს, როგორ სწირავდნენ ბიჭები სამშობლოს ყველაზე ძვირფასს – სიცოცხლეს! ტანკი იწვოდა, მაგრამ ბიჭებმა არ მიატოვეს სანამ ჭურვები არ გაისროლეს და იქ ჩაიწვნენ... ეს ხომ სიცოცხლეზე უარის თქმაა სამშობლოსათვის. წარმოიდგინეთ, მთელი წლის განმავლობაში რამდენი ასეთი გმირობა ჩაიდინეს მეომრებმა? ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ მათი სიცოცხლე მაინც არ ეყო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის დაცვას...

თამაზ ხუბუა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

– 20 წელი სრულდება აფხაზეთში საომარი მოქმედებების დამთავრებიდან. ცხადია, აფხაზეთიდან დევნილი თითოეული მოქალაქისთვის ომის გახსენება მეტად მძიმე და ტკივილიანია. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ცალკეული ტრაგიკული ფურცლებისგან შედგება აფხაზეთის, სრულიად საქართველოს უახლესი ისტორია. ამ თარიღთან დაკავშირებით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმზე დავამტკიცეთ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა დევნილი საზოგადოების იმ პროცესებისადმი დამოკიდებულების გავითვალისწინებით, რომელიც აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების ეგიდით მიმდინარეობს. თავისთავად ცხადია, ეს არ იქნება საზეიმო ღონისძიებების და არც უაზრო თვითგვემის დემონსტრირება. ეს იქნება იმ მოვლენების ობიექტური შეფასება, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონფლიქტამდე, კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტურ პერიოდში აფხაზეთში იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომელიც ამ რეგიონთან მიმართებაში დღეისთვის მსოფლიო თანამეგობრობაში, საერთაშორისო პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ ორგანიზაციების მიდგომებში არსებობს. აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ შეიტანა საქართველოს პარლამენტში წინადადება, რომ ეს წელი აღინიშნოს ეთნოწმენდის მსხვერპლთა ხსოვნის წლად. ჩვენ არ გვინდა ეს გავაკეთოთ ვინმეს საპირისპიროდ და არც არავის ვპასუხობთ ნიშნის მოგებით, როგორც ეს სპპარატისტულ ადმინისტრაციას აქვს ჩაფიქრებული. ჩვენ გვაქვს პოლიტიკური, მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობა ჩვენი მოსახლეობის, ჩვენი ქვეყნის, ომში დაღუპული გმირების წინაშე, რომ ეს დღე ყოველთვის გვახსოვდეს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ჩვენს მიმართვებს აქტიურად გამოემხმაურნენ საქართველოს ფედერალური უწყებები, რომლებიც უშუალოდ აფხაზეთის პრობლემატიკით არიან დაკავებულნი. რეინტეგრაციის სამინისტროსთან გვაქვს დაგეგმილი აფხაზი და ქართველი ახალგაზრდების შეხვედრა, თუნდაც ნეიტრალურ ტერიტორიაზე; დიასპორების სამინისტროსთან – ერთობლივი გასვლა ჰამბურგის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, სადაც ჩავატარებთ აფხაზეთის დღეს; ჩეხეთში გამგზავრება და იქაურ ქართულ დიასპორასთან შეხვედრა და ა.შ. ამას წინათ გენოციდის მსხვერპლთა სიაც განთავსდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, იგეგმება კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, რომლებიც აფხაზეთის პრობლემატიკის სხვადასხვა მიმართულებებს ეხება; აქტიურად შევეხმიანებით იმ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენებს, რომლებიც გენოციდის მსხვერპლთა და დევნილთა უფლებების დღეებად არის აღიარებული. არის მთელი რიგი იმ მნიშვნელოვანი თარიღებისა, რომლებიც ითხოვენ ჩვენგან ადეკვატურ რეაგირებას და კიდევ ერთხელ შეახსენებს მსოფლიოს აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას – 1993 წელს ქ.სოხუმის მისადგომებთან, მდინარე გუმისთასთან გამართულ საომარ მოქმედებებს, რომელიც დაკავშირებულია ქართული შეიარაღებული ძალების, სახალხო დაუმორჩილებლობის მოძრაობის მებრძოლების გმირულ გამარჯვებასთან. რაც შეეხება 15-17 მარტს, ის მიეძღვნება ომში დაღუპული გმირების პატივმიგებას, იმ გმირების საფლავების მონახულებას, ვინც საკუთარი სიცოცხლე ამ წმინდა საქმეს შესწირა; გვექნება ომის ვეტერანებთან, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებთან ამჟამად საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში მომსახურე ახალგაზრდებთან, ცნობილ სამხედრო ხელმძღვანელებთან, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრა. ეს იქნება ქართული უტეხი სულის კიდევ ერთხელ შეხსენება ჩვენი მოსახლეობისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ყველა თანამემამულისთვის, რომელთათვისაც სულერთი არ არის ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ეს იქნება იმედის დღე, ხვალინდელი გამარჯვების, ობიექტური სამართლიანობის დამკვიდრებებისთვის ჩვენი მოთხოვნისა და პირადი პასუხისმგებლობის დადასტურების დღე. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ განვლილი 20 წლის განმავლობაში აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებული პოლიტიკური დარეგულირების, სახალხო დიპლომატიის ეგიდით წარმოებული პროცესები სრულიად არ აკმაყოფილებს ჩვენ მოთხოვნებს. მხედველობაში მყავს არა მარტო ქართული საზოგადოება, არამედ განსაკუთრებით ის პოლიტიკური საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც, უკაცრავი პასუხია და, მხოლოდ „აღშფოთებით“ გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას ამ უდიდესი ტრაგედიის მიმართ. ნურავინ დაიჯერებს, რომ სანამ აფხაზეთის პრობლემა არ მოგვარდება, ქართული სუვერენული სახელმწიფო შედგება და ამ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტისათვის მიმდინარე ბრძოლაში ვერავინ ჩაანაცვლებს საქართველოს საზოგადოების, ხელისუფლების, სრულიად საქართველოს თითოეული მოქალაქის ნებას.

ცეზარ ჩოჩელი: „როგორც ეიფელის კოშკი ავაშენე, ისე ვაკოტრებდი ქართუ ბანკს“

შორენა მარსაგიშვილი

მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ისევ შარშია გახვეული. გუშინ ის მოდულის შენობაში დაიბარეს და რამდენიმე საათის განმავლობაში კითხავდნენ. დაკითხვის დასრულების შემდეგ ის თავის ადვოკატთან ერთად მოდულის შენობიდან გამოვიდა. მისმა ადვოკატმა გოგიტა გაბაიძემ მედიას ამცნო, რომ ცეზარ ჩოჩელს „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით ბრალი 2 მუხლით წაუყენეს.

ადვოკატ გაბაიძის განმარტებით, ჩოჩელს ბრალად დიდი რაოდენობის ქონების გადამალვაში წაქეზება და ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებისა და გამოყენების მუხლებით წაუყენეს.

– ცეზარ ჩოჩელს ბრალი წარედგინა „ქართუ ბანკის“ საქმესთან დაკავშირებით, ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 25-205-ე მე-3 ნაწილისა და 25-210 მუხლის მე-2 ნაწილით წარედგინა. ეს არის დიდი რაოდენობის ქონების გადამალვაში წაქეზება და ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადებისა და გამოყენების მუხლებით, – განაცხადა ჩოჩელმა.

აქამდე ჩოჩელს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური დასდევდა. ის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში უკვე ბრალდებული. მას რამდენიმე დღეც გაატარებინეს საპატიმროში. მერე კი 200 000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

მისი დაკავების მიზეზი იყო ის რომ ცეზარ ჩოჩელი გუბერნატორობისას უკანონოდ მონაწილეობდა შპს „ნიუ ენერჯის“ საქმიანობაში.

– იგი მფარველობას უწევდა აღნიშნულ შპს-ს და ხელს უწყობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული კონტრაქტების გაფორმებაში. აღნიშნული საქმიანობის სანაცვლოდ იგი უკანონოდ იღებდა დიდი ოდენობით შემოსავლებს და ფულის გათეთრების გზით აძლევდა კანონიერ სახეს. 2010 წლის ზაფხულში ცეზარ ჩოჩელის მოთხოვნის საფუძველზე შპს „ნიუ ენერჯიმ“ ჩოგბურთის და კალათბურთის მოედნების მოსაწყობად თურქეთიდან ჩამოიტანა 61 845 ლარის ღირებულების საჭირო ინვენტარი და თბილისში, კერძოდ, სოფელ დიღომში ცეზარ ჩოჩელის მეუღლის, სვეტლანა ჩოჩელის საცხოვრებელი სახლის ეზოში დაამონტაჟა. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 337 და 194 მუხლის მესამე ნაწილით, რაც 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – განაცხადეს მაშინ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში.

ისე რა უცნაურია ეს ცხოვრება. „ნიუ ენერჯთან“ ახლობლობის გამო ჩოჩელი ციხეში გაუშვეს. ამ ფირმის ყოფილი თავკაცები კი მინისტრის მოადგილეები ხდებიან.

სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა

სასტუმრო "თბილისი მერიოტში" სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა გახსნა.

ეს სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის წევრებთან უკვე მესამე შეხვედრა იყო. ამჯერად, შეხვედრა სამოქალაქო სამართლის საკითხების განხილვას მიეძღვნება. შეხვედრის თემა გახლდათ "არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებასთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციები საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით".

შეხვედრას დაესწრნენ სამეცნიერო წრეების, საქართველოში მოქმედი ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებების, საქართველოს მოსამართლეთა კორპუსისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები.

თანამშრომლობის ჯგუფის საქმიანობის მიზანი გახლავთ სასამართლო სისტემის რეფორმის პროცესში საზოგადოებრივი ჯგუფების უშუალო ჩართულობის უზრუნველყოფა.

სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება არსებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე დისკუსიების გამართვა.

შემდეგი შეხვედრა დღეს გაიმართება და იგი საგადასახადო დავების განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს მიეძღვნება.

ბათუმის სასამართლომ ბრალდებული გაათავისუფლა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ბრალდებულ ნური ბოლქვაძის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდა და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ნური ბოლქვაძის მიმართ დარღვეული იყო დაკავების წესი, რის გამოც აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გაუქმდა, შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა, რომ ნური ბოლქვაძე დაკავებული იყო 2013 წლის 26 თებერვალს 430-დან 435 საათის შუალედში შემთხვევის ადგილზე და არა დაკავების ოქმში მითითებულ დროს 2013 წლის 26 თებერვალს 18.05 საათზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აკრძალულია პირის განმეორებით დაკავება კერძოდ, დაუშვებელია პირის განმეორებით დაკავება მხოლოდ ერთი და იმავე მტკიცებულებების ან ინფორმაციის საფუძველზე.

სასამარტლოს მტკიცებით, დაცვის მხარის მიერ წარმდგენილი, სასტუმრო "რედისონი"-ს სათვალთვალო კამერის ჩანაწერით უდაო და ეჭვმიუტანელია, რომ ნური ბოლქვაძე პოლიციის მუშაკების მიერ დაკავებულია შემთხვევის ადგილზევე, რაც მიუთითებს იმას, რომ ამ უკანასკნელის განმეორებით დაკავება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის უხეში და აშკარა დარღვევაა.

სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დაკავების განჩინების მიღებამდე, როგორც პროკურორისათვის, ისე სასამართლოსათვის უცნობი იყო ნური ბოლქვაძის პოლიციის მუშაკების მიერ დაკავების ფაქტი, მაგრამ თვით ეს გარემოება უთითებს, რომ სათვალთვალო კამერის ჩანაწერის მოპოვებისთანავე პროკურორს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ამავე მუხლის პირველი ნაწილის "ე' ქვეპუნქტის საფუძველზე ნური ბოლქვაძე დაუყონებლივ უნდა გაეთავისუფლებინა.

მართალია, განსახილველ შემთხვევაში არ დადასტურდა პროკურორის მიერ სასამართლოსათვის ბრალდებულის მდგომარეობისათვის სასარგებლო მტკიცებულების - სათვალთვალო კამერის ჩანაწერის განზრახ წარუდგენლობის ფაქტი, მაგრამ ასეთი ინფორმაციის მატარებელი მტკიცებულების არსებობა, თავისთავად გამორიცხავდა, სასამართლოს მიერ როგორც 2013 წლის 26 თებერვალს დაკავების განჩინების გაცემას, ისე 2013 წლის 28 თებერვალს ნური ბოლქვაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას," - ასეთია სასამართლოს პოზიცია.

დაკავების წესის დარღვევის გამო ბრალდებულს არ შეეფარდა არც ერთი აღკვეთის ღონისძიება.

სიახლეები კანონმდებლობაში

დაცვის მხარეს ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უფლება ეძლევა, როგორიცაა ჩხრეკა და ამოღება. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესებში საკანონმდებლო ინიციატივით მთავრობა პარლამენტში უკვე შევიდა. ცვლილებების მიღების შემთხვევაში "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს" სიახლე დაემატება.

დღეს მოქმედ კოდექსში წერია, რომ დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი, ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოს მიმართოს. საკანონმდებლო პაკეტით მას ეს უფლება ეძლევა და ამავე პროექტის გათვალისწინებით, ექნება შესაძლებლობა, მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება სახელმწიფო ორგანოებიდან და კერძო დაწესებულებებიდან.

"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" დაგეგმილი ცვლილებებით, სიახლე იქნება ისიც, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობით საგამოძიებო მოქმედება არ შეიძლება იმ გამომძიებელმა ჩაატაროს, რომელიც მოცემულ საქმეზე გამოძიებას აწარმოებს. ამასთან, დაუშვებელი ხდება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას პროკურორის დასწრებაც.

"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში" კიდევ ერთი ცვლილება შედის, რომლის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ გადაწყვეტილება საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვის თაობაზე, შეთანხმების შედეგად მიიღონ. კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი საქართველოს მთავრობაა.

ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით განიხილება. საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს, რომლის მიხედვით, ბრალდებულს შეუძლია იშუამდგომლოს და შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის ნაფიცების გარეშე განხილვა მოითხოვოს. თუმცა, მეორეს მხრივ, ამავე კოდექსის 226-ე მუხლიდან გამომდინარე, შესაძლოა, სასამართლომ ბრალდებულს უარი უთხრას, როდესაც მას სურს მისი საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ.

"ამდენად, კანონპროექტის მიღების მიზეზია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების, კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების აუცილებლობა," - ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

კიდევ ერთი სიახლე იქნება ის, რომ ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირების ერთ საკანში მოთავსება აიკრძალება. აქედან გამომდინარე, ცვლილებები შედის "პატიმრობის კოდექსში" და "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში", რომლის განხილვაც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოეწყო. საკითხი განსახილველად იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ წარადგინა, რომლის განცხადებითაც, წარმოდგენილი ცვლილებებით, 2006 წლამდე არსებული სტატუსკვო აღდგება. მისი ინფორმაციით, წარმოდგენილი აკრძალვა 2006 წლამდე არსებობდა და არსებობს ეჭვი, რომ მისი გაუქმება სანდრო გვირგვლიანის საქმეზე ბრალდებული პირების გამო განხორციელდა.

კომიტეტის სხდომაზე პარლამენტის წევრის, კობა დავითაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტიც განიხილეს. მომხსენებლის განცხადებით, კანონპროექტით განისაზღვრება იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებიც ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო ან მისი პროფესიული ნაწილის ჩაბარების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან.

საკითხის განხილვას სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ამ ეტაპისთვის საკითხის გადატანა და მასზე მუშაობის გაგრძელება ითხოვა. მსჯელობის შედეგად კომიტეტმა კენჭი უყარა და მიიღო კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის წინადადება, კერძოდ კი, კომიტეტში შეიქმნება მრჩეველთა საბჭო, რომელიც პარლამენტის წევრებით, იუსტიციის სამინისტროს, ადვოკატთა და ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება და საკითხის მომზადება კომპლექსურად მოხდება.

სამუშაო ჯგუფი იპოთეკური სესხების გამო შექმნილ პრობლემაზე მსჯელობს

იუსტიციის სამინისტროში იპოთეკის სამართალზე მომუშავე ჯგუფის შეკრება გაიმართა. ჯგუფს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ხელმძღვანელობდა. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ჯანდიერი, აღსრულების ბიუროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარეები.

შეხვედრის მონაწილეებმა პრობლემების იდენტიფიცირების საკითხზე იმუშავეს. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის წევრთა გადაწყვეტილებით, აღირიცხება ყველა პრობლემური იპოთეკური სესხი და დადგინდება პრობლემის მასშტაბები, რის შემდეგაც სამუშაო ჯგუფი საკითხის მოგვარების შესაძლო მექანიზმებზე იმსჯელებს. პირველ რიგში, შემუშავდება კონკრეტული ინიციატივები, რომლებიც კერძო იპოთეკართან ხელშეკრულების გაფორმებისას მოქალაქეების ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს.

შეხვედრაზე ჯგუფის გაფართოების შესახებაც იმსჯელეს, მასში შევლენ როგორც საბანკო სექტორის ექპერტები, ისე - საკითხით დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, რათა სამუშაო ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდეს, მათი პოზიციები მოისმინოს, შეაჯეროს და გონივრული რეკომენდაციები გაითვალისწინოს.

იპოთეკის სამართალზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ინიციატორი საქართველოს იუსტიციის მინისტრია. თეა წულუკიანმა აღნიშნული გადაწყვეტილება პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე მიიღო. როგორც ცნობილია, იპოთეკური სესხები საქართველოს მოქალაქეების საკმაოდ დიდ ნაწილს აწუხებს, დიდია იმ ოჯახების რიცხვიც, რომელთაც უიმედო სესხების გამო უსახლკაროდ დარჩენა ემუქრებათ. იპოთეკის სამართალზე მომუშავე ჯგუფის მიზანი სწორედ ასეთი ოჯახების დახმარება, მდგომარეობის შემსუბუქებისათვის ოპტიმალური გზების მოძებნა და პრობლემური იპოთეკური სესხების პრევენციაა.

პროექტს ახორციელებს
"საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

ზაზა ხატიაშვილი: „6 პროკურორს ადვოკატობის უფლება არ მივეცით“

გულიკო ბალაძე

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს – ხატია არდაზიშვილსა და კობა გოცირიძეს პროკურატურაში უჩივის. ამ მიზნით ის საქართველოს მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილსაც ხვდება და მოითხოვს ამ მოსამართლეების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას მინიმუმ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო.

სასამართლო ხელისუფლების მამხილებელი და სკანდალური სასამართლო გადაწყვეტილებები წარმოადგინა გუშინ პრესკონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა და განაცხადა, რომ კუბლაშვილი და მისი სასამართლო არანაირად არ შეცვლილან.

როგორც ირკვევა, საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების – ხატია არდაზიშვილისა და კობა გოცირიძის მიერ სხვადასხვა პირების მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები, სახელისა და გვარის გარდა, მთლიანად, წერტილ-მძიმით და შეცდომებითაც კი, იდენტურია და დასტურდება, რომ ერთმანეთის კოპირებას წარმოადგენს.

– კუბლაშვილის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყოფილ პროკურორებს უფლება აქვთ, გაწევრიანდნენ ადვოკატთა ასოციაციაში. კუბლაშვილის სამარცხვინო სასამართლო აგრძელებს უკანონო გადაწყვეტილებების გამოტანას, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა

ზაზა ხატიაშვილმა ჟურნალისტებს წარმოუდგინა ადვოკატთა ასოციაციის წინააღმდეგ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლითაც ყოფილ პროკურორებს უფლება ეძლევათ, საადვოკატო გამოცდების ჩაბარების გარეშე გაწევრიანდნენ ადვოკატთა ასოციაციაში, ანუ საადვოკატო საქმიანობის უფლება მიეცეთ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ, 2012 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, 6 პიროვნებას, ყოფილ პროკურორებს

– გიორგი ჩივიაშვილს, გიზო უგულავას, რომეო საჯაიას, ალექსანდრე მგელაძეს, შოთა გენგაშვილსა და ყოფილ მაღალჩინოსანს – გიორგი ონიანს, რომლებსაც ჩაბარებული ჰქონდათ პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, უარი უთხრა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე, ვინაიდან მათ ვერ განახორციელეს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 7 წლის განმავლობაში ასოციაციაში გაწევრიანება, რაც არის ადვოკატთა შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კანონის იმპერატიული მოთხოვნა.

ადვოკატთა ასოციაციამ ექვსი პროცესი წააგო პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში.

– იმდენად დიდი იყო კუბლაშვილის სასამართლოს დაინტერესება მოცემული საქმეებით, რომ ორ სასამართლო ინსტანციაში საქმის წარმოება დამთავრდა ორ თვეში, მაშინ, როდესაც მოქალაქეები წლობით ელოდებიან სასამართლო გადაწყვეტილებებს, – აღნიშნა ზაზა ხატიაშვილმა.

როგორც ზაზა ხატიაშვილი აცხადებს, ადვოკატთა ასოციაციის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები ადასტურებენ მოსამართლეთა რობოტიზაციას, რაც არის აღმაშფოთებელი.

მისი თქმით, როდესაც ადვოკატთა ასოციაციის წინააღმდეგ კუბლაშვილის სასამართლო ახდენს გადაწყვეტილებების კოპირებას, რას დამართებენ უბრალო მოქალაქეეს, ყველასთვის ნათელია.

ალექსანდრე მგელაძემ, გიზო უგულავამ, გიორგი ჩივიაშვილმა, რომეო საჯაიამ, შოთა გენგაშვილმა და გიორგი ონიანმა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრეს.

ალექსანდრე მგელაძისა და გიზო უგულავას სარჩელი განიხილა 2013 წლის 3 იანვარს მოსამართლე ხატია არდაზიშვილმა.

გიორგი ჩივიაშვილის, რომეო საჯაიას, შოთა გენგაშვილისა და გიორგი ონიანის სარჩელი კი განიხილა მოსამართლე კობა გოცირიძემ 2013 წლის 15 იანვარს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ხატია არდაზიშვილმა 2013 წლის 3 იანვარს დააკმაყოფილა ალექსანდრე მგელაძისა და გიზო უგულავას სარჩელი.

– 2013 წლის 15 იანვარს მოსამართლე კობა გოცირიძემ ასევე დააკმაყოფილა გიორგი ჩივიაშვილის, რომეო საჯაიას, შოთა გენგაშვილისა და გიორგი ონიანის სარჩელები. მოსამართლე კობა გოცირიძემ თავისი 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება მთლიანად გადაიწერა კოპირების მეთოდით მოსამართლე ხატია არდაზიშვილის 2013 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილებიდან, რაც არის სამარცხვინო და უწესო მოვლენა სასამართლო სისტემაში, – მიაჩნია ზაზა ხატიაშვილს.

ზაზა ხატიაშვილის განცხადებით:

– ვინაიდან კონსტანტინე კუბლაშვილის სასამართლოს უნდა ეპატიოს ყველაფერი, რადგან კონსტანტინე კუბლაშვილს ჰქონია საოცარი ბიოგრაფია და მხოლოდ მას შეუძლია სასამართლო რეფორმის წარმატებით დასრულება, ამიტომ სამოქალაქო საზოგადოებას ადვოკატთა ასოციაცია წარ-

მოუდგენს ორი სხვადასხვა მოსამართლის მიერ გამოტანილ იდენტურ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა საქმეზე.

გადაწყვეტილებებში ერთი და იგივე ტექსტია, ერთი და იგივე პუნქტებია, ერთი და იგივე გრამატიკული შეცდომებია. სხვადასხვა გადაწყვეტილებაში ერთი და იგივე გრამატიკული შეცდომებია – ორივეში ერთნაირად ზედმეტი მძიმეა დაფიქსირებული, ანუ მოხდა გადაწყვეტილების კოპირება. ეს ადრეც ხდებოდა – პროკურატურას შეჰქონდა შუამდგომლობა, რომელსაც თან ახლდა „ფლეშკაზე“ გადაწერილი ტექსტი, რომელსაც მოსამართლე მთლიანად იყენებდა თავის სასამართლო გადაწყვეტილებაში. კუბლაშვილი აცხადებს, სასამართლო და მოსამართლეები შევიცვალეთ, კარგი ბიჭები გავხდითო. სინამდვილეში სასამართლოში არაფერი შეცვლილა. ჩვენ მივმართეთ იუსტიციის მინისტრს და მოვითხოვეთ კონკრეტული მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხის დასმას, მაგრამ, როგორც ჩანს, სასამართლო ხელშეუხებელი დარჩება.

ზაზა ხატიაშვილი ამბობს, რომ საქმეს სამართლებრივად არ ეხება, რადგან სასამართლო წარმოება არ დამთავრებულა.

– მე ვამახვილებ ყურადღებას იმ ფაქტზე, რა სისხლის სამართლის დანაშაულიც არის ჩადენილი – მოსამართლეები კოპირების მეთოდით აგრძელებენ გადაწყვეტილების გამოტანას. ახლა კოტე კუბლაშვილი აკეთებს რაღაც შეკრებას და ამბობს, ჩვენ შევიცვალეთო, მე ის კოტე აღარ ვარ, რაც ვიყავი. მე სამართლებრივად მოაზროვნე კოტე გავხდიო. ეგ არის უბედურება, რომ ძველ მოსამართლეებს სამართლებრივი აზროვნება როგორიც ჰქონდათ, ისევ ის დარჩა. მე წარმოვადგინე კონკრეტული მტკიცებულება. როგორ შეიძლება ასეთი სამარცხვინო რამ ხდებოდეს. ვთქვათ, ერთ გადაწყვეტილებაში, 4 მძიმე აკლია. ასეა მეორე გადაწყვეტილებაშიც. ერთგან ორი მძიმეა ზედმეტი, მეორეგანაც ორი მძიმეა ზედმეტი. ხატია არდაზიშვილმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გოცირიძემ – გადაიწერა. თუ აღმოჩნდა, რომ კობა გოცირიძე არის დამნაშავე, ხატია არდაზიშვილიც დამნაშავეა, რადგან გასარკვევია, საიდან მოხდა კობა გოცირიძის ხელში „ფლეშკით“ აღნიშნული გადაწყვეტილება. ხატია არდაზიშვილმა მისცა და უთხრა, აჰა, ძმაო, გამოიყენეო. ეს არის ჯგუფური დანაშაული. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, მინიმუმ თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება იმიტომ, რომ ერთმა მოსამართლემ სიტყვასიტყვით გადაიწერა მეორე მოსამართლის მიერ დაწერილი გადაწყვეტილება.

მოსამართლე ვალდებულია, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად გამოიტანოს, მაგრამ მოსამართლემ თავისი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა, თავის უფლებამოსილებას გადაამეტა, ანუ მოსამართლის ფუნქცია არ შეასრულა, – ასეთი კვალიფიკაცია მისცა ზაზა ხატიაშვილმა ზემოთ ხსენებული მოსამართლეების ქმედებებს.

მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის წევრს შეუძლია იყოს ადვოკატი. ასოციაცია პირს აწევრიანებს, ან უარს ეუბნება. ჩვენ არ გავაწევრიანეთ, მათ გაასაჩივრეს. ეს სამართლებრივი გზაა, კოტე კუბლაშვილი ამბობს, შევიცვალეთ და სამართლებრივად დავიწყეთ აზროვნებაო. მე წარმოგიდგინეთ მტკიცებულება, რომ ეს ასე არ არის.

– ბატონო ზაზა, როგორ ფიქრობთ, რატომ გააკეთა ეს მოსამართლემ, რატომ გადაიწერა ერთმა მოსამართლემ მეორისაგან გადაწყვეტილება, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების დაწერა არ შეეძლო?

– ეს იმიტომ გააკეთა, რომ მოსამართლეებს მისცეს ხელშეუხებლობის გარანტია, რითაც უთხრეს, რაც გინდათ, გააკეთეთო.

– მაინც რატომ უნდა დასჭირვებოდა ერთ მოსამართლეს მეორე მოსამართლისაგან გადაწყვეტილების გადაწერა?

– კრიმინალები არიან. დღევანდელი მოსამართლეები არიან დამანაშავე ფსიქიკის მქონე ადამიანები. ეს დამნაშავე ფსიქიკის მქონე ადამიანები არ შეიცვლებიან. მე ვიყავი ერთ-ერთ შეხვედრაზე კოტე კუბლაშვილთან ერთად. მან მითხრა, სამოქალაქო საზოგადოება, ადვოკატები გავერთიანდეთ და სასამართლო პრაქტიკაზე შევთანხმდეთო. რა პრაქტიკაზე უნდა შევთანხმდეთ, როცა ერთი მოსამართლე კოპირების წესით იწერს გადაწყვეტილებას და იმ მოსამართლეს არ სჯიან.

– სასამართლო ხელისუფლების ხელშეუხებლობის მიზეზი რა შეიძლება იყოს?

– საქართველოს სასამართლო რეფორმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა დააფინანსეს და ახლა არ სურთ, აღმოჩნდეს, რომ „დემოკრატიის შუქურას“ სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი, არ უნდათ, აღმოჩნდეს, რომ საქართველოში იყო სასამართლო, რომელიც პროკურატურაში დაწერილი საპრალდებო დასკვნების კოპირების მეთოდით ახდენდა სასამართლო გადწყვეტილებების გამოტანას. ეს არავის აწყობს, ამიტომ, ეტყობა, საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედება ხდება, რომ მოსამართლეებს არ შეეხონ. არ მეგულება საქართველოს სასაჯელაღსრულების დაწესებულებებში დამნაშავე პირი, რომელსაც იმაზე მეტი დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, რაც ამ მოსამართლეებს აქვთ, მაგრამ მათ არ ეხებიან. საქართველოს სასამართლო ღახავს ადამიანის უფლებებს. ხელისუფლება კი არ აღმოჩნდა მზად სასამართლოსთან ურთიერთობისთვის. ეს შეფასება გამოიწვია პრემიერ-მინისტრის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ გაკეთებულმა განცხადებებმა.

– ბატონო ზაზა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ კონსტანტინე კუბლაშვილი მიზეზთა გამო მიხეილ სააკაშვილთან ვალშია და ის ერთგვარად სააკაშვილის მსხვერპლიც არის, აქედან გამომდინარეობდა მისი განცხადებები კუბლაშვილის მიმართ.

– ახლა ბიძინა ივანიშვილის კომენტარს არ შევეხები, მაგრამ ის ფაქ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599978546.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

დარეჯან დედოფლის სასახლე ჩამოინგრა

ეკა ირემაშვილი

თბილისში დარეჯან დედოფლის სასახლე ჩამოინგრა. ადგილზე არსებულ ვითარებას ლაიფციგში გამგზავრებამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი გაეცნენ. მათ ავლაბარში მდებარე ერეკლე II-ის მეუღლის დარეჯან დედოფლის სასახლე მოინახულეს, რომლის ერთ-ერთი სადგომი გაურკვეველი მიზეზით ჩამოინგრა. კულტურის მინისტრი თავის მოადგილესთან ერთად ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტს, მეუფე დანიელსაც შეხვდა. მეუფე დანიელმა მინისტრს დარეჯანის სასახლეში არსებული ამჟამინდელი მდგომარეობა გააცნო.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უახლოეს დღეებში დაიწყებს დაზიანებული სასახლის მონიტორინგს, რის შემდეგაც თბილისის მერიასთან ერთად ჩაატარებს აღდგენით სამუშაოებს.

თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტერი XVIII საუკუნის 70-იან წლებში ერეკლე II-ის მეუღლეს დარეჯან დედოფალს ავლაბრის ტერიტორიაზე, ძველი ციხის ნანგრევებზე, სასახლე და წმინდა ირაკლისა და წმინდა დარიას სახელობის კარის ეკლესია აუგია. ეკლესიის აგების თარიღად 1789 წელია მოხსენიებული. დარეჯან დედოფლის მიერ აშენებული ეკლესია და სასახლე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებთან ერთად ერთიან არქიტექტორულ კომპლექტს შეადგენდა, რომელიც ქვის გალავნით ყოფილა შემოსაზღვრული. სასახლისა და მისი კომპლექსის ზუსტი დაგეგმარება ჩვენამდე მოღწეული არ არის. დარეჯან დედოფლის სასახლეს „დარეჯანის სასახლეს“ სხვაგვარად კი „საჩინოსაც“ უწოდებდნენ.

თბილისის არქიტექტურულ ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „საჩინოს“ – დარეჯანის სასახლის ერთ შემორჩენილ ნაწილს, რომელიც აგვირგვინებს ძველი ავლაბრის გალავნის ერთ-ერთ ბურჯს. იგი იმ ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანი ძეგლებია და ძველი ქალაქის საერთო ხედის სილუეტის წამყვანი კომპონენტებია. ამ თვალსაზრისით „საჩინო“ მოსახსენიებელია ნარიყალასთან და მეტეხის კლდის წარბის განაშენიანებასთან ერთად.

დარეჯან დედოფლის პეტერბურგში გადასახლების შემდეგ, ეს სასახლე მისი ეკლესიითურთ შეიძინა ეგზარქოსმა თეოფილაქტემ და გამართა სასულიერო სემინარია და სამრევლო სკოლები. მიტროპოლიტმა იონამ 1824 წლის 29 ოქტომბერს ტაძარი აკურთხა მაცხოვრის ფერისცვალების სახელზე და დააარსა ამავე სახელობის მამათა მონასტერი.

გადმოცემით ცნობილია, რომ ფერისცვალების მონასტერში ბერად აღკვეცილა წმინდა ალექსანდრე (ოქროპირიძე). ორი წლის განმავლობაში ფერისცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარი იყო, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია). მონასტერში დაცული იყო წმიდა რაჟდენ პირველმოწამის ნაწილები, რომლებიც ამჟამად სიონის ტაძარშია დაბრძანებული.

კომუნისტური რეჟიმის წლებში ფერისცვალების მონასტერი არ ფუნქციონირებდა. XX საუკუნის 70-იან წლებში აქ 26 კომისრების რაიონული მუზეუმი იყო განთავსებული. ერთი პერიოდი ეკლესიას საწყობადაც იყენებდნენ. შემდეგ აქ ერთი მსახიობის თეატრი დაარსდა და 90-ან წლებამდე თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა.

1991 წლიდან ეკლესია საპატრიარქოს გამგებლობაში გადავიდა და უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით აქ დაარსდა დედათა მონასტერი. ტაძრის მოხატულობა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს, ქართული არაა და რენესანსის პერიოდისკენაა მიდრეკილი. იგი ეკუთვნის მონასტრის ერთ-ერთ ადრინდელ წინამძღვარ მამა ევგენის. დღესდღეობით კონქი და საკუთხეველი ფერისცვალების მონასტრის მოძღვარმა დეკანოზმა იოსებ ვანიძემ მოხატა. კანკელის ხატები და აღსავლის კარზე ხარების ხატი კი მხატვარ ვახტანგ ხოშტარიას მოხატულია.

ფერისცვალების ბაზილიკური ტაძარი კრამიტითაა გადახურული, დასავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს სამრეკლო, სამონასტრო კომპლექსი შემოზღუდულია ლოდებით აშენებული გალავნით. კარის თავზე ჩასმულია ფერისცვალების ხატი.

მონასტერი ქალაქში მდებარეობს და ეს გარკვეულ გავლენას ახდენს მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მისი შექმნის აუცილებლობა თბილისში, კი თვით ცხოვრებამ მოიტანა. უამრავი ადამიანი, რომელთაც წარმეული ჰქონდათ რწმენა კომუნისტური რეჟიმის სამოცდაათწლიანი ბატონობის პერიოდში დღეს მონასტერს ნუგეშისა და სულიერი დახმარებისათვის მიმართავენ.

მონასტრის წინამძღვარია იღუმენია მარიამი. დედები ცხოვრობენ განსაზღვრული ტიპიკონის მიხედვით, მონასტერში კეთდება სხვადასხვა სამორჩილო საქმეები, ცხვება სეფისკვერი, კეთდება სანთლები და კელაპტრები, არის ქარგვის, ხალიჩის, თექის და სხვა ხელსაქმის სახელოსნოები.

კულტურის სამინისტრო მონიტორინგს აგრძელებს

2003 წლის იანვარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მონასტრის ტერიტორიაზე გაიხსნა მოწყალების სახლი და მასთან არსებული მოწყალების დების სასწავლებელი. იგი რამდენიმე სახის სპეციფიკური დანიშნულების მქონე დაწესებულებაა: ჰოსპისი 4 საწოლზე, სადაც თავსდებიან მეოთხე კლინიკური ჯგუფის პაციენტები, რომელთაც ესაჭიროებათ პალიატიური (შემამსუბუქებელი) მკურნალობა და სპეციფიკური მოვლა. ეს არის ბაზა მოწყალების დებისათვის სწავლების პროცესში. ფუნქციონირებს უფასო ამბულატორიული ტიპის მომსახურება, მიუსაფართათვის და ასევე უფასო სასადილო. თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტერი და მასთან არსებული მოწყალების დების სასწავლებელი ცდილობს განაგრძოს თავისი მოღვაწეობა და სრულყოს ხალხისადმი სამსახური ღვთის შეწევნითა და კეთილი ადამიანების თანადგომით.

გურამ ოდიშარიამ საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმიც დაათვალიერა. საგურამოს მისი მოადგილე მარინა მიზანდარიც სტუმრობდა. სამინისტროს დელეგაციას მუზეუმის დირექტორმა ანდრო ბედუკაძემ უმასპინძლა. მინისტრმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი ოფიციალური ვიზიტით მცხეთაში იმყოფებოდნენ. სამინისტროს დელეგაციას მცხეთის მაჟორიტარ-დეპუტატმა დიმიტრი ხუნდაძემ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გივი გიუტაშვილმა და მცხეთის საკრებულოს თავმჯდომარემ ილია იორდანიშვილმა უმასპინძლეს.

გურამ ოდიშარია და მარინე მიზანდარი ესტუმრნენ მცხეთის კულტურის ცენტრს, მოინახულეს ყოფილი კინოთეატრის შენობა, რომლის ნაწილიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს და ასევე დაათვალიერეს მიმდინარე მშენებლობები არაგვისა და მტკვრის შესართავთან.

გურამ ოდიშარია მარინე მიზანდართან ერთად ოფიციალური ვიზიტით დუშეთში იმყოფებოდა. სამინისტროს დელეგაციას დუშეთის რაიონის მაჟორიტარ-დეპუტატმა ირაკლი ტრიპოლსკიმ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე შექმნილი საზოგადოებრივი ჯგუფის ხელმძღვანელმა ლია როინიშვილმა უმასპინძლეს.

გურამ ოდიშარია და მარინე მიზანდარი ესტუმრნენ დუშეთის სახელოვნებო სკოლას და დაათვალიერეს ის შენობები, რომელთაც ახლო მომავალში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭებათ, მათ შორისაა ჭილაშვილების სასახლე – მილახვრიანთ კარი, ფოსტის შენობა, სამუსიკო სასწავლებელი, ყოფილი სასამართლოს შენობა, კეზელის სახლი, არაქელოვების სახლი და რამდენიმე საცხოვრებელი შენობა.

კულტურის მინისტრმა ლაიფციგში გამგზავრებამდე მემორანდუმი გააფორმა. ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ გააფორმეს დანაშაულის პრევენციისა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

მემორანდუმის ფარგლებში განისაზღვრა სამინისტროებს შორის ერთობლივი სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს რისკ-ფაქტორებისა და საჭიროებების მიხედვით გამოვლენილი მსჯავრდებულებისთვის თვითრეალიზაციის რეალური პერსპექტივის შექმნას.

მემორანდუმით გათვალისწინებულია ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებულ მსჯავრდებულთა დახმარება, მათთვის სპექტაკლებისა და კონცერტების ორგანიზება, კულტურის სფეროში მოღვაწე გამოჩენილ პიროვნებებთან შეხვედრების მოწყობა, აგრეთვე ახალგაზრდა პრობაციონერებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ექსკურსიების ჩატარება და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

კულტურის სამინისტრომ და „საქართველოს მწერალთა სახლმა“ სალიტერატურო ჟურნალის გამოცემის ხელშეწყობის მიზნით კონკურსიც გამოაცხადა.

– ამ კონკურსის მიზანია სალიტერატურო პროცესის გააქტიურება, ქართული ლიტერატურის (პროზა, პოეზია, დრამატურგია და ა.შ.) ნიმუშების წარმოჩენა, სალიტერატურო და სახელოვნებო კრიტიკის განვითარება, კითხვის პოპულარიზაციის ხელშეწყობა. რაც შეეხება კონკურსის პირობებს, მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემით დაკავებულ იურიდიულ პირებს, რომლებსაც აღნიშნულ სფეროში მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება გააჩნიათ. წარმოდგენილი პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: პერიოდულ გამოცემაში თანაბრად უნდა შუქდებოდეს და იბეჭდებოდეს ყველა თაობის ქართველი მწერლის გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები; ასევე დებიუტანტი მწერლებისა და მთარგმნელების ნაწარმოებები; წარმოდგენილი უნდა იყოს ლიტერატურული კრიტიკის და ესეისტიკის ნიმუშები; ცალკე რუბრიკა უნდა მიეძღვნას მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს; პერიოდულ გამოცემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეთმობოდეს თანამედროვე კულტურული პროცესების მიმოხილვას (კინო, მუსიკა, თეატრი, სახვითი ხელოვნება); პერიოდული გამოცემის პარალელურად უნდა ფუნქციონირებდეს მისი ელექტრონული ვერსია (ვებ-გვერდი ან ბლოგის პლატფორმა), რომელიც სხვადასხვა რუბრიკებით, კონკურსებითა და ვიქტორინებით პარალელურად ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში კითხვის პოპულარიზაციას; სასურველია, პროექტის წარმომადგენელ ორგანიზაციას ჰყავდეს თანადამფინანსებელი. გამარჯვებული პროექტის გამოვლენის შემდგომ, მწერალთა სახლი კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან ხელშეკრულებას გააფორმებს. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მწერალთა სახლში 12 მარტს დაიწყო და 10 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება, – ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ლაიფციგში გამგზავრებული კულტურის მინისტრი წიგნის ბაზრობის გახსნის ოფიციალურ ცერემონიალს დაესწრო. ღონისძიებას ქალაქ ლაიფციგის მერი ბურკჰარდ იუნგი, საქსონიის პრემიერ-მინისტრი სტანისლავ ტილიჰი, გერმანელი გამომცემლებისა და წიგნის გამავრცელებლების ასოციაციის პრეზიდენტი პროფესორი გოტფრიდ ჰონეფელდერი ესწრებოდნენ. ლაიფციგის მერმა მისასალმებელ სიტყვაში გურამ ოდიშარიას განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ღონისძიებაში მონაწილეობისა და საქართველოს ამ ფესტივალში ჩართულობისათვის.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც (საკუთრების საკითხის გადაწყვეტამდე) დაიწყო მუშაობა საქართველოს საპატრიარქოსა და სომხური ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ინტერესის სფეროში მოქცეული ეკლესიების რეაბილიტაციისათვის საჭირო საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოების დასაგეგმად.

სამუშაო ჯგუფის წევრები არიან სამინისტროდან – მარინე მიზანდარი, ბესიკ მაცაბერიძე; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან – მერაბ ბოჭოიძე, გიორგი გაგოშიძე; „იკომოს-საქართველოდან“ – ლია ბოკუჩავა; სომეხთა სამოციქულო წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიიდან – ეპარქიის წინამძღვარი ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი და ეპარქიის სამართლებრივი განყოფილების ხელმძღვანელი ლევონ ისახანიანი. საქართველოს საპატრიარქოდან – მეუფე დავით ალავერდელი და გიორგი ანდრიაძე.

სამუშაო ჯგუფი უკვე რამდენჯერმე შეიკრიბა, ასევე ადგილზე მოინახულა თბილისში მდებარე ხუთი ეკლესია: სურბნიშნის ეკლესია აკოფიანის ქუჩაზე, მოღნისის ეკლესია ახოსპირელის ქუჩაზე, ნორაშენის ეკლესია კოტე აფხაზის ქუჩაზე, სურბ მინასის ეკლესია გელათის ქუჩაზე, სურბ შამქორის ეკლესია ფერისცვალების ქუჩაზე. გამოიკვეთა არსებული პრობლემები და პირველი რიგის ჩასატარებელი ღონისძიებები.

მონიტორინგის ჯგუფი მუშაობს პერმანენტულ რეჟიმში, რათა ხელი შეეწყოს აღნიშნული სამუშაოების დროულ წარმოებასა და არსებული პრობლემების დაძლევას.

ბარონი მიუნჰაუზენი საბავშვო თეატრშია

ეკა ირემაშვილი

16 სექტემბერს მოზარდ მაყურებელთა თეატრში პრემიერა გაიმართება. თეატრში მისული საზოგადოებისთვის წარმოდგენილი იქნება განახლებული სპექტაკლი „ბარონი მიუნჰაუზენი“.

როგორც თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა სალომე კალაძემ განაცხადა, ორმოქმედებიანი წარმოდგენა დადგმულია გრიგორი გორინის პიესის მიხედვით. სპექტაკლის რეჟისორია ელენე მაცხონაშვილი. მასში მონაწილეობენ ბესო მეგრელიშვილი, ნინო პაპიაშვილი, ლელა მახნიაშვილი, ქეთი ქიტაიშვილი, ვახტანგ ახალაძე, გივი ბეჟანეიშვილი, კახა გაბელაია, იური ვასაძე, ლევან კაციაშვილი, დენ ხლიბოვი, გიორგი კაჭახიძე, ალექსანდრე მელაძე, ვახტანგ ნოზაძე, დევი რეხვიაშვილი, ნიკა ქარაული, სოსო ხაინდრავა და ცოტნე ჯანგიძე.

– გრიგორი გორინი მოგვითხრობს ისტორიას ადამიანისას, რომელსაც ბავშვობიდან ყველანი ვიცნობთ. ბარონი მიუნჰაუზენი ყველასგან განსხვავდება, მაგრამ, თუ ბავშვები მის თავგადასავალს აღიქვამენ, როგორც მშვენიერ ფანტაზიას, ოცნებას, უფროსები ბარონს უპირისპირდებიან, არ სურთ გაუგონ ჭეშმარიტად რომანტიკული ბუნების კაცს. თუმცა მოზრდილებს შორისაც მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც არამცთუ ეგუებიან, არამედ სიხარულით ხვდებიან მიუნჰაუზენის, ამ „ყველაზე მართალი ადამიანის“ უცნაურ, ფანტასტიკურ ისტორიებს, რადგან წარმოსახვის, აღმაფრენის გარეშე ცხოვრება უფერულდება და აზრს კარგავს, – ამბობს სალომე კალაძე.

პრემიერის წარმოდგენამდე მოზარდ მაყურებელთა თეატრსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის საფუძველზეც ეს ორი უწყება ამიერიდან აქტიურ თანამშრომლობას დაიწყებს.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი სხვა პრემიერებისთვისაც ემზადება. სულ მალე თეატრი წარმოადგენს ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ და დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებას“. ახალი თეატრალური სეზონიდან კი მოზარდ მაყურებელთა თეატრი ახალ ცხოვრებას დაიწყებს და ქართულ თეატრალურ ფერხულში ღირსეულად ჩაებმება.

გიორგი გუგავა: „ივანიშვილმა ოცნება საკუთარ მთავრობას აუსრულა“

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივნის გიორგი გუგავას განცხადებით, ბიძინა ივანიშვილმა ოცნება საკუთარ მთავრობას აუსრულა.

„მილიარდერმა ივანიშვილმა ხალხს არა, მაგრამ საკუთარ მთავრობას ოცნება ნამდვილად აუსრულა. კერძოდ, მინისტრებსა და ბიუროკრატიას პრემიები ხელფასის სახით ოფიციალურად დაუკანონა, რის შედეგადაც გაღატაკებული ქვეყნის მინისტრის ხელფასი, წლიურად 82 000 ლარს შეადგენს.

მივმართავთ მილიარდერ პრემიერ-მინისტრს, როგორც საკუთარი თანხებით აფინანსებდა სააკაშვილის ხელისუფლებას „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, დღესაც, საკუთარ უსაქმურ მინისტრებს ფული საკუთარი ჯიბიდან გადაუხადოს, ხოლო საბიუჯეტო სახსრები გაჭირვებულ მოსახლეობას მოახმაროს“ – აცხადებს გუგავა.

ნიუსპრესი

სტიქიამ გორის რაიონში საცხოვრებელი სახლები დააზიანა

გორის რაიონის სოფელ ძევერაში მოსულმა ნალექმა საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები დატბორა.

ადგილობრივების ინფორმაციით, წყალდიდობა სარწყავი არხის გადავსებამ გამოიწვია, რომელიც პერიოდულად გაწმენას საჭიროებს. როგორც ძევერელები ამბობენ, სოფლის მოსახლეობის ათამდე ოჯახს დატბორვის პრობლემა 10 წელზე მეტია აწუხებს. ადგილობრივებმა დახმარება სოფელში ჩასულ გუბერნატორს სთხოვეს.

გუბერნიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ანდრო ბარნოვის დავალებით, შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები დატბორილ სახლებში ამოტუმბვის სამუშაოებს ატარებენ.

ნიუსპრესი

თენგიზ ამირეჯიბი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს

ეკა ირემაშვილი

კონსერვატორიის პროფესორი თენგიზ ამირეჯიბი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. იგი 9 მარტს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. გიზი ამირეჯიბის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მწუხარება გამოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ პრეზიდენტმა სამძიმრის წერილი გამოაქვეყნა.

„მწუხარებას გამოვთქვამ ქართველი პიანისტისა და საზოგადო მოღვაწის, გიზი ამირეჯიბის გარდაცვალების გამო. ბატონი გიზი მრავალი ქართველი პიანისტის აღმზრდელია. იგი განუმეორებელი ნიჭითა და სიყვარულით ასრულებდა თითოეულ ნაწარმოებს, რაც სამუდამოდ დარჩება მისი ერთგული მსმენელის მეხსიერებაში. სწორედ გიზი ამირეჯიბის სახელს უკავშირდება ქართული მუსიკის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ. იგი ბევრი ქართული საფორტეპიანო ნაწარმოების პირველი ინტერპრეტატორია. სამძიმარს ვუცხადებ ბატონი გიზის ოჯახის წევრებს და გულითადად ვიზიარებ მისი გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილსა და მწუხარებას“.

საქართველოს სახალხო არტისტი და ქართველი პიანისტი, საშემსრულებლო მოღვაწეობასთან ერთად, ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. მოსკოვის კონსერვატორიის დასრულების შემდეგ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალზე ბერლინში გიზი ამირეჯიბი საპატიო სიგელით დააჯილდოვეს. იგი თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ და საკონცერტო მოღვაწეობას, ნაყოფიერ არტისტულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას. კონცერტებით გამოდიოდა რუსეთში, გერმანიაში, კანადაში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, აშშ-ში. განსაკუთრებული ადგილი მის რეპერტუარში ეკავა შოპენის ნაწარმოებებს, რომელთა ინტერპრეტაციაში ნათლად ჩანდა პიანისტის არტისტული ბუნების თავისებურება. მნიშვნელოვანია თენგიზ ამირეჯიბის დამსახურება თანამედროვე ქართული მუსიკის შესრულების თვალსაზრისითაც – ის მრავალი ქართული საფორტეპიანო ნაწარმოების პირველ ინტერპრეტატორად იყო მიჩნეული.

მისი აღზრდილია მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი პიანისტები – ალექსანდრე კორსანტია, მანანა დოიჯაშვილი, ელისო ბოლქვაძე, თამარ ლიჩელი, ხატია ბუნიათიშვილი და მრავალი სხვა პიანისტი, რომლებმაც 20-ზე მეტ საერთაშორისო კონკურსზე ლაურეატის წოდება მოიპოვეს. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე კონსერვატორიამ და მისმა მოსწავლეებმა მაესტროს იუბილე გადაუხადეს.

გიზი ამირეჯიბის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამძიმარი გამოთქვა კულტურის სამინისტრომაც.

„გარდაიცვალა ქართველი პიანისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს ეროვნული და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი პროფესორი თენგიზ ამირეჯიბი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, კოლეგებსა და მის მიერ აღზრდილ პიანისტთა თაობების წარმომადგენლებს“.

დიფ ფარფლი თბილისში ჩამოვა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ყველაზე საინტერესო „თბილისი ოპენ ეარ 2013“-ის სტუმრები არიან დიფ ფარფლი, თუმცა საზოგადოება დანარჩენი ბენდების გამოცხადებასაც დიდი ოვაციებით შეხვდა. ჩვენ 50.000-ზე მეტ სტუმარს ველოდებით, – განაცხადა აჩიკო გულედანმა.

ჯგუფის შემადგენლობა არსებობის მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა, 2002 წლიდან დღემდე მის შემადგენლობაში არიან იან გილანი – ვოკალი, ჰარმონიკა, პერკუსია; სტივ მორსი – გიტარა, როჯერ გლოვერი – ბას გიტარა, დონ ეირი – კლავიშები, იენ პეისი – დასარტყამი ინსტრუმენტები.

დიფ ფარფლი მძიმე მეტალ ჯგუფების რიგს მიეკუთვნება, როკ-მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი 1970-იან წლებში მიიღო ძირითადად გაერთიანებულ სამეფოში და აშშ-ში. მისი შექმნა უკავშირდება აღნიშნული პერიოდის როკ-ჯგუფებს, რომლებიც 1967-1974 წლებში ბლუზ-როკისა და ფსიქოდელიური როკის ნაზავ მუსიკას უკრავდნენ, მკვეთრად გამოხატული მასიური ხმით, ძლიერ გაძლიერებული დისტორშენით, გახანგრძლივებული გიტარის სოლოებით, მკვეთრად გამოხატული დრამების პარტიებით, ხმის საერთო სიმაღლით.

დიფ ფარფლი ინგლისური ჰარდ როკ ჯგუფია. ჯგუფის სახელი წარმოდგება პიტერ დე როუზის სიმღერა დიფ ფარფლიდან. დღესდღეობით გაყიდულია ჯგუფის 100 მილიონზე მეტი ალბომი. დიფ ფარფლი ლედ ზეპელინსა და ბლექ საბათთან ერთად ითვლება ჰარდ როკის ერთ-ერთ პიონერად და დიდი წვლილი მიუძღვის მუსიკის ამ ჟანრის განვითარებაში. 1967 წელს ჯგუფ სერჩერსის ყოფილი დრამერი კრის კურტისი დაუკავშირდა ლონდონელ ბიზნესმენ ტონი ედვარდს იმ იმედით, რომ ის დაეხმარებოდა ახალი ჯგუფის შექმნაში. ედვარდსმა თანხმობა განაცხადა დაფინანსებაზე თავის ორ პარტნიორ ჯონ კოლეტასა და ჯონ ჰაირთან ერთად. კურტისი შეუდგა ახალი ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომლის სახელი იყო რაუნდბაუთი. პირველი, ვინც ჯგუფს შეუერთდა იყო ჯონ ლორდი. შემდგომ კურტისმა დაითანხმა გიტარისტი რიჩი ბლექმორი, დაბრუნებულიყო ჰამბურგიდან და მიეღო მონაწილეობა მოსმენაში ახალი ჯგუფის შექმნის მიზნით. კურტისი მალე ჩამოშორდა ჯგუფს, მაგრამ ბლექმორმა და ლორდმა გააგრძელეს მუშაობა და ჯგუფში მიიღეს ბას-გიტარისტი ნიკ სიმპერი, მოგვიანებით კი ვოკალისტი როდ ევანსი და დრამერი იან პეისი. დანიაში ტურნეს შემდეგ ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს ჯგუფისთვის დაერქმიათ დიფ ფარფლი, რომლის იდეა რიჩი ბლექმორს ეკუთვნოდა. მათი ტურნე აშშ-ში ჯგუფისთვის წარმატებული გამოდგა. სიმღერა „სიჩუმე“ სადებიუტო ალბომიდან ჯგუფის პირველ ჰიტად არის მიჩნეული. მეორე ალბომის თელეისინის წიგნის გამოსვლა დაემთხვა ჯგუფის ამერიკაში ტურნეს პერიოდს. ინგლისში ის მხოლოდ შემდეგ წელს გამოჩნდა. მათი მესამე ალბომი ინგლისში გამოვიდა. სამი ალბომის გამოშვებისა და ამერიკაში ხანგრძლივი ტურნეს შემდეგ როდ ევანსი და ნიკ სიმპერი უცერემონიოდ გააძევეს, მათ ნაცვლად კი ვოკალისტი იან გილანი და ბას-გიტარისტი როჯერ გლოვერი მიიღეს. ასე ჩამოყალიბდა ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული შემადგენლობა. ჯგუფის ამ შემადგენლობამ გამოუშვა საკონცერტო ალბომები, კონცერტი ჯგუფისა და ორკესტრისთვის, სრული სამმოქმედებიანი ნაწარმოები, რომლის ავტორიც ჯონ ლორდია. დიფ ფარფლმა ეს ნაწარმოები სამეფო ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად შეასრულა სამეფო ალბერტ ჰოლში. ეს იყო როკ ჯგუფისა და ორკესტრის ერთ-ერთი პირველი ერთობლივი ნამუშევარი, თუმცა, იმ დროისთვის, დიფ ფარფლის ზოგიერთი წევრი, განსაკუთრებით რიჩი ბლექმორი, არცთუ მოხარული იყო იმით, რომ მათი ჯგუფი მოიხსენიებოდა, როგორც „ჯგუფი, რომელიც ორკესტრთან ერთად უკრავდა“. მათ განზრახული ჰქონდათ ჯგუფის განვითარება უფრო ვიწრო, ჰარდ როკ სტილში.

ორკესტრთან ერთად შესრულებული კონცერტის შემდეგ ჯგუფმა დაიწყო თავბრუდამხვევი ტურნე. ამ პერიოდის პირველი სტუდიური ალბომი 1970 წელს გამოვიდა. ჯგუფმა ასევე ჩაწერა სიმღერა ბლექ ნაით, რომელიც მაშინვე ჰიტად იქცა და დიდი ბრიტანეთის მუსიკალურ ათეულში მოხვდა. ბლექმორ-ლორდის მუსიკა, გილანის ვოკალი, გლოვერისა და პეისის რითმული განყოფილებები ყველასათვის ადვილად საცნობი გახდა. შემდეგი, უფრო სრულყოფილი და პროგრესული ალბომი, „ცეცხლოვანი ბურთი“ ერთი წლის შემდეგ გამოვიდა. ჯგუფის კიდევ ერთი სიმღერა, „უცნაური ქალი“ კვლავ ათეულში მოხვდა. დიფ ფარფლი აგრძელებდა გასტროლებს და ალბომების ჩაწერას. „მეიდ ინ ჯეფენ“ დღესაც მიიჩნევა ყველაზე ცნობილ როკ- საკონცერტო ალბომად, რომელიც კი ოდესმე ჩაწერილა.

ჯგუფის შემადგენლობამ კვლავ ცვლილება განიცადა – გილანმა დატოვა ჯგუფი, გლოვერიც მასთან ერთად გაუშვეს. მათ მაგივრად აიყვანეს იმ დროისთვის უცნობი მომღერალი ჩრდილოეთ ინგლისიდან დევიდ კოვერდეილი და ბას-გიტარისტი გლენ ჰიუზი. ახალმა შემადგენლობამ ჩაწერა მძიმე ბლუზ-როკის სტილში ალბომი. ჰიუზმა და კოვერდეილმა ჯგუფს შემატეს რიტმ ენდ ბლუზის და სოულის ელემენტები. ბლექმორი უკმაყოფილო იყო ამ შედეგით, რის გამოც მან დატოვა დიფ ფარფლი. ჯგუფმა კიდევ არაერთი ცვლილება განიცადა შემადგენლობის მხრივ, თუმცა მათი წარმატებები არ შეწყვეტილა. ჯგუფის დაშლის შესახებ კი ინფორმაცია 1976 წლის ივლისში გამოაცხადეს. დიფ ფარფლის ყოფილმა წევრებმა კი მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სხვადასხვა ჯგუფებში.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში როდ ევანსმა შეკრიბა ჯგუფი და დიფ ფარფლის სახელით რამდენიმე კონცერტი ჩაატარა, სანამ მას ამ ბრენდის გამოყენება აუკრძალეს. საბოლოოდ, ჯგუფის დაშლიდან 8 წელიწადში მისი აღდგენა შესაძლებელი გახდა. რადიო ბიბისი-მ გამოაცხადა, რომ 70-იანების შემადგენლობა – ბლექმორი, გილანი, გლოვერი, ლორდი და პეისი ახალ ალბომზე მუშაობდნენ. მალე მათი ალბომიც გამოვიდა და დაიწყო გასტროლები მთელ მსოფლიოში. ინგლისში გამართულ კონცერტს 80.000 ფანი დაესწრო. ჯგუფის 20 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამოვიდა ერთ-ერთი სინგლის ახალი ვერსია. ჯგუფი აგრძელებდა გასტროლებს 2002 წლამდე. 2003 წელს დიფ ფარფლმა გამოუშვა ახალი ალბომი და დაიწყო გასტროლები მის მხარდასაჭერად. 2005 წლის ივლისში მიიღეს მონაწილეობა 8 კონცერტში. იმავე წლის ოქტომბერში კი გამოვიდა ახალი ალბომი. მიუხედავად იმისა, რომ ალბომი მხოლოდ რამდენიმე კვირაში ჩაიწერა, ის ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე პროგრესული და საინტერესო ნაშრომი გამოდგა. ალბომს კიდევ ერთი ხანგრძლივი მსოფლიო ტურნე მოჰყვა.

ამჯერად დიფ ფარფლი საქართველოში ჩამოდის. მისი კონცერტი დინამო არენაზე გაიმართება. კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 40-დან 200 ლარამდეა. ამ ფასში შედის როგორც ფეხზე დასადგომი, ასევე დასაჯდომი ბილეთები. შეზღუდული რაოდენობით გაიყიდება ვიაიპი ბილეთები, რომელთა ფასიც 250-დან 500 ლარამდეა.

ეკა ირემაშვილი

რა დატვირთვა აქვთ მუზეუმებს XXI საუკუნეში?

ეკა ირემაშვილი

გოეთეს ინსტიტუტი თბილისში ახალ პროექტს იწყებს, რომელიც მუზეუმებს უკავშირდება. მომავალი ორი წლის განმავლობაში გოეთეს ინსტიტუტის პროგრამები სახელწოდებით „დროის მანქანები — მუზეუმები 21-ე საუკუნეში“ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მნიშვნელოვანწილად მუზეუმსა და მის დანიშნულებას უკავშირდება.

14 მარტს პროექტი გაიხსნა დისკუსიათა ციკლით „საუბრები მუზეუმზე“, რომელზეც გოეთეს ინსტიტუტის დარბაზში ხელოვნების ისტორიკოსმა ქეთევან კინწურაშვილმა წარმოადგინა მოხსენება „მუზეუმი როგორც სახლი: საუნივერსიტეტო მუზეუმები ამერიკაში იელის უნივერსიტეტის სამხატვრო გალერეის მაგალითზე“.

– XIX საუკუნის დასაწყისში პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზოგადოებები აქტიურად იმყოფებიან პოსტკომუნისტური თვითშეგნების ძიების პროცესში, რაც სხვადასხვა ფორმით, განვითარების განსხვავებულ ეტაპებზე და მოქალაქეების მეტნაკლები ჩართულობით მიმდინარეობს. მუზეუმი ამ ძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლატფორმაა, სადაც ქვეყნის საზოგადოებრივი, ესთეტიკური, არქიტექტორული, ქალაქგეგმარებითი და პოლიტიკური განვითარების გზები, როგორც ინსტანციაში, ერთ ადგილას იკვეთება და ხელშესახები ხდება. მუზეუმი ესთეტიკურად ასახავს იმას, თუ რა მიდგომა აქვს საზოგადოებას თავის წარსულთან და როგორ აღიქვამს მას აწმყოსა და მომავალთან მიმართებით. აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის გოეთეს ინსტიტუტებისათვის ამ კუთხით მეტად საინტერესოა თავიანთი კულტურული პროგრამების წარმართვა, რამეთუ მუზეუმი საზოგადოებრივი თვითშეგნების სახეა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჯერ კიდევ მუდმივი გარდაქმნის პროცესში იმყოფება. სწორედ ამიტომ გაჩნდა რეგიონული პროექტის „დროის მანქანა – მუზეუმი“ იდეა, – აცხადებს გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენელი თამთა გოჩიტაშვილი.

მისივე თქმით, რეგიონული პროექტი 2013 წლის აპრილში ბერლინში სიმპოზიუმით გაიხსნება. აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნებიდან მოწვეული მონაწილეები ბერლინში გაეცნობიან მუზეუმებში კოლექციების შეგროვების აქტუალურ ტენდენციებს, მუზეუმის ადმინისტრაციული განვითარების საინტერესო სიახლეებს, ისე, როგორც მუზეუმის დიზაინსა და არქიტექტურაში არსებულ თანამედროვე მიმდინარეობებს. ასევე მონაწილეებს საშუალება მიეცემათ, დაამყარონ ურთიერთობები გერმანელ კოლეგებთან, რაც მათ ქვეყნებში ადგილობრივი პროექტების გატარებას შეუწყობს ხელს.

– პროექტის ლოკალური კომპონენტი იმაში მდგომარეობს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების გოეთეს ინსტიტუტები თავიანთი ადგილობრივ პარტნიორებთან და მუზეუმებთან ერთად ჩაატარებენ სხვადასხვა ფორმატის სამუზეუმო პროექტებს. ამით მუზეუმი, როგორც ცნება და ინსტანცია, სხვადასხვა ჭრილში იქნება წარმოდგენილი, – აცხადებს გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენელი.

აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი ამზადებს მასშტაბურ გამოფენას სახელწოდებით „მუზეუმის არქეოლოგია“, რომელსაც უხელმძღვანელებენ კურატორები საბინა შიხლინსკაია (აზერბაიჯანი), ვატო წერეთელი (საქართველო) და ვაჰრამ აგასიანი (სომხეთი).

– ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი და უცხოელი ხელოვანების ნამუშევრები „მუზეუმის“ თემაზე. ექსპოზიცია გაიხსნება 2014 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. „მუზეუმის არქეოლოგია“ მოიცავს არა მხოლოდ მხატვრულ, არამედ თეორიულ ნაწილსაც. 2013 წლის მარტიდან თბილისის გოეთეს ინსტიტუტი იწყებს მოხსენებების და დისკუსიათა ციკლს სათაურით „საუბრები მუზეუმზე“, სადაც მუზეუმს სხვადასხვა ასპექტში გააშუქებენ ისეთი სპეციალისტები, როგორც ხელოვნების ისტორიკოსი, ქეთევან კინწურაშვილი, შვედი კურატორი ანდეარს კრიუგერი, ნიუ-ორკელი გალერისტი და ხელოვნებათმცოდნე ირინე პოპიაშვილი, გერმანელი ესეისტი მიხაელ რუთჩკი და არქიტექტორი ალექსანდერ შვარცი (ჩიპერფილდ არჩიტექტის მხატვრული ხელმძღვანელი), ისე, როგორც გერმანელი კურატორი ულრიკე შმიგელტი და კრაკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორი და კურატორი მარია ანა პოტოცკა, – აღნიშნავს თამთა გოჩიტაშვილი.



ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. სამკურნალო დაწესებულება; 2. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 3. პატარა, ვიწრო ქუჩების სახელწოდება ძველ თბილისში; 4. ცნობილი ამერიკელი ტელეშოუების წამყვანი ჟურნალისტი ქალი; 5. მონაკოს მთავართა საგვარეულო დინასტია; 7. ფულის ერთეულ იაპონიაში; 11. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 13. პირველი ქართული სახოტბო პოეზიის ჟანრის ნაწარმოების „აბდულმესიანის“ ავტორი; 15. წნული ქოხი სამეგრელოში; 16. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი კონსტრუქტორი; 18. ფულის ერთეული სომხეთში; 19. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე.

თარაზულად: 6. ქართველი კომპოზიტორი; 8. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ჯიში; 9. მეხსიერების დაკარგვა; 10. შტატი აშშ-ში; 12. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 14. პატარა ფლეიტა; 17. დაბანდებული კაპიტალიდან მიღებული თანხა; 20. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 21. ქალაქური სიმღერების შემსრულებელი ქართველი მომღერალი ქალი; 22. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 23. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუდზონი; 2. ჩიჩისბეი; 3. სტურუა; 4. პოემა; 5. დიამეტრი; 8. ფალსტაფი; 12. დოხა; 13. საგარეჯო; 14. მიკადო; 16. ჯომარდი; 18. გორდა; 20. სარი.

თარაზულად: 6. სუფლიორი; 7. კატალოგი; 8. ფაზისი; 9. კოალა; 10. აბორდაჟი; 11. გარდიანი; 15. კალიფორნია; 17. შაპიტო; 19. დიოსკურია; 21. კელნერი; 22. ჩოხატაური; 23. ჰილტონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აბზინდა; 2. მერანო; 3. ესმერალდა; 4. ჩითილი; 5. სარკაზმი; 7. ბატე; 11. დრენაჟი; 13. კეტჩუპი; 15. პიაფი; 16. გაუკი; 18. ქეიფი; 19. ვანგა.

თარაზულად: 6. ბომბეი; 8. მენისკი; 9. თითბერი; 10. ნერეიდა; 12. კობზა; 14. შირაზი; 17. დეტექტივი; 20. ზღაპარი; 21. ეფენდი; 22. ფლეგმა; 23. მირზაანი.

უგო ჩავესის ცხედრის ბალზამირება შეუძლებელია

ვენესუელას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლას მადუროს განცხადებით, გარდაცვლილი უგო ჩავესის ცხედრის ბალზამირება ვეღარ მოხდება. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

მადუროს თქმით, ვენესუელაში ჩასული რუსი ექსპერტების განცხადებით, გარდაცვლილი უგო ჩავესის სხეულის ბალზამირება ვეღარ მოხდება, რადგან ცხედარი დროულად არ დამუშავდა და არა ჩაუტარდა საჭირო პროცედურები.

„რუსი და გერმანელი ექსპერტები ვენესუელაში ჩავესის ცხედრის ბალზამირებისთვის ჩამოვიდნენ, თუმცა ისინი აცხადებენ, რომ ეს რთული იქნება, რადგან პროცესი მანამდე უნდა დაწყებულიყო, ახლა კი შეუძლებელია“, – ამცნო მადურომ ვენესუელელებს.

შეგახსენებთ, რომ ვენესუელის პრეზიდენტის ცხედრის ბალზამირებას და რევოლუციის მუზეუმში დასვენებას აპირებდნენ. ამის შესახებ გადაწყვეტილება ვენესუელის მთავრობამ მიიღო.

„ჩავესის ცხედარს ბალზამირება ჩაუტარდება, ისე, როგორც ხო ში მინის, ლენინის, მაო ძედუნის ცხედრებს, იმისათვის რომ სამუდამოდ იყოს შესაძლებელი მისი ნახვა“ – განაცხადა მაშინ ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა.

უგო ჩავესი 5 მარტს გარდაიცვალა რამდენიმეთვიანი ავადმყოფობის შემდეგ. ქვეყანაში მისი გარდაცვალების გამო 7-დღიანი გლოვა გამოცხადდა, თუმცა ვენესუელას ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საყოველთაო გლოვა 15 მარტამდე გაგრძელდება. ახალი პრეზიდენტის არჩევნები ვენესუელაში 14 აპრილს გაიმართება, მანამდე პრეზიდენტის მოვალეობას ნიკოლას მადურო შეასრულებს.

ზაზა ხატიაშვილი: „6 პროკურორს ადვოკატობის უფლება არ მივეცით“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ტი, რომ კოტე კუბლაშილი ვინმესთან ვალშია, ეს არ ამართლებს კოტე კუბლაშვილს. მიხეილ სააკაშვილთან ვალშია ბაჩო ახალაიაც, მაშინ რატომ დაიჭირეს ბაჩო ახალაია. მიმაჩნია, რომ კოტე კუბლაშვილი უფრო მეტად დამნაშავეა, ვიდრე ბაჩო ახალაია. მაშინ რატომ დაიჭირეს ბაჩო ახალაია? მიხეილ სააკაშვილთან ყველაზე დიდ ვალშია გიგი უგულავა. მე ვარ უფლებადამცველი. არავის დაჭერა და ციხეში ჩასმა არ მინდა. მე მათ ციხეში ჩასმას კი არ ვითხოვ, რეჟიმი უნდა გასამართლდეს, არსებული სასამართლო უნდა გასამართლდეს. რატომ იყო არასამართლიანი.

– რა ფორმით უნდა გასამართლეს?

– ხომ ამბობენ, ამნისტია იყოსო. პოლიტიკურ ამნისტიაში მოჰყვება ყველა მოსამართლე, მაგრამ უნდა გასამართლდნენ და უნდა ითქვას, რომ ეს იყო რეჟიმი.

– პროკურატურამ უნდა გამოიძიოს, რაც დააშავეს, უნდა ითქვას და შემდეგ მოხდეს ამნისტია?

– რა თქმა უნდა. ელემენტარულად, ძველი პროკურორები და ძველი მოსამართლეები ახორციელებენ მართლმსაჯულებას. მე ვსვამ კითხვას, თუ სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩაიდინეს დანაშაული, დღეს იმავე საქმეზე, იგივე პროკურორი და მოსამართლე წესიერ გადაწყვეტილებას გამოიტანს? გამორიცხულია. 147 ადვოკატი გაასამართლა კოტე კუბლაშვილმა. ძალიან ბევრი ადამიანი ციხეში ჩასვა უსამართლოდ. პასუხი არ უნდა აგოს?

– ახლა რამდენი ადვოკატი გათავისუფლდა?

– სხვათა შორის, სააკაშვილის რეჟიმის მიერ გასამართლებულ ადვოკატთა აბსოლუტური უმრავლესობა ციხიდან გამოდის იმიტომ, რომ ახალ ხელისუფლებას არ სჭირდება ადვოკატების ციხეში ყოფნა, რაც კარგია. ის უნდა აღინიშნოს, რაც კარგია, მაგრამ რაც შეეხება მთავარ დანაპირებს, სამართლიან სასამართლოს, გამორიცხულია, სააკაშვილის პოსტზე ყოფნის პერიოდში შესრულდეს. მე ვეკითხები დღევანდელ ხელისუფლებას, თქვენი ლოიალობის გამო დამაზარალა კუბლაშვილმა, რა ვქნა? ხომ არ შეიძლება კუბლაშვილისაგან დავზარალდეთ და მას ვუთხრათ, საოცარი ბიოგრაფია გაქვს და სასამართლო რეფორმა მხოლოდ შენ უნდა დაამთავროო. ეს არ არის კარგი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის.

ადვოკატთა ასოციაცია სამოქალაქო საზოგადოებას სთხოვს, გააქტიურებას მოსამართლეთა უკანონო მოქმედებების წინააღმდეგ.

ადვოკატთა ასოციაცია მიმართავს მთავარ პროკურორს და იუსტიციის საბჭოს აღნიშნული ფაქტის შესწავლის მოთხოვნით.

სამგლოვიარო განცხადებები

გიული თევზაძის მონატრება

დადგა შენი ოჯახისა და მეგობრებისთვის ტკივილიანი 14 მარტი – შენი დაბადების დღე. ახლა 77 წელი შეგისრულდებოდა, რომ არა ის ტრაგიკული დღე...

14 მარტი... დიდი სიხარულით ვხვდებოდით ამ დღეს, ყველას გვახარებდა... ჩემო გიული, ძალიან მიჭირს შენზე წარსულში საუბარი, დაბადების დღის მოლოცვა შორიდან... ძალიან გვტკივა გული შენი არყოფნით... უზომოდ ენატრები ყველას – შენს შვილს ლალის, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, სიძეებს, დასა და დისშვილებს, მეგობრებსა და თანამშრომლებს...

დღეს გულისტკივილით მოვალთ შენს საფლავზე და მოგილოცავთ დაბადების დღეს, თუმცა, ძნელია ჩვენთვის შენი დაბადების დღის მილოცვა უშენოდ, ამ ტკივილს დრო ვერ გაანელებს.

ყვავილებს მოგიტანთ, სანთლებს დაგინთებთ და უფალს შევავედრებთ შენს სულს, ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული და დაგიმკვიდროს სასუფეველი, სადაც მართალნი ცათა განისვენებენ.

შენი ციური მჟავია

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პუტინი შუაალზიელებისთვის სავიზო რეჟიმს აწესებს

რუსეთი, რომელიც ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს, პარტნიორებს შუა აზიის ქვეყნების საზღვრებზე უსაფრთხოების გარანტიას აძლევს, – ამის შესახებ ტელეკომპანია „დოჟდის“ ეთერში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ელჩმა სპეციალურ საკითხებში ანვარ აზიმოვმა განაცხადა.

საგარეო უწყების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქმე ეხება უზბეკეთთან და ტაჯიკეტთან სავიზო რეჟიმის დაწესებას. ელჩის განცხადებით, იმის შესახებ, რომ შუა აზიის ქვეყნების მოქალაქეებისთვის გარკვეული დროით ვიზები იქნება შემოღებული, თავად პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. მისივე ინფორმაციით, ვიზები 2015 წლიდან დაწესდება.

დიპლომატის განცხადებით, ბრიუსელში პრობლემის განხილვის დროს გამოითქვა შიში, რომ ევროპასთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ, მოსკოვში მცხოვრები უზბეკები, ყირგიზები და ტაჯიკები ევროპაში იოლად გავლენ.

„მაგრამ ჩვენ მათ ვუხსნით, რომ ისინი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არ არიან და რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქედ გახდომა ძალიან რთულია. ეს ძალიან რთული პროცესია“, – განაცხადა ელჩმა.

რუსეთში დსთ-ს ქვეყნებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებაზე მსჯელობენ როგორც სამთავრობო სტრუქტურებში, ისე ნაციონალისტურ დაჯგუფებებში. სახელმწიფო დუმის დეპუტატები შუა აზიის ქვეყნებთან მიმართებაში მსგავსი ზომების გატარების მიზნად ნარკოტრაფიკის შემცირებას ასახელებენ. გასულ კვირას კი, ნაციონალისტური მოძრაობა „ახალი ძალის“ ლიდერმა ვალერი სოლოვეიმ განაცხადა, რომ ინტერნეტ-გამოკითხით 100 ათასზე მეტი რუსეთის მოქალაქე უჭერს მხარს დსთ-ს ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის დაწესებას.

თავად შუა აზიის ქვეყნების ლიდები შიშობენ, რომ სავიზო რეჟიმის დაწესება ქვეყნებს შორის ორმხრივ ურთიერთობებს გაართულებს.

ცენტრალური აზია ბუნებრივი რეგიონი აზიაში, ტერმინზე ზუსტი შეთანხმება არ არსებობს. როგორც წესი, იგი მოიცავს მხარეებს – ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები: ყაზახეთი (მცირე ევროპული ნაწილის გამოკლებით), უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი. ეს უკანასკნელი ოთხი ქვეყანა შუა აზიის რეგიონად მოიხსენიებოდა.

ბარაკ ობამამ კიმ ჩენ ინს საუბარზე უარი უთხრა

ცნობილი კალათბურთელი, დენის როდმანი პირველი ამერიკელია, რომელიც ჩრდილოეთ კორეის ლიდერს შეხვდა. ნბა-ს ყოფილი მოთამაშე გასულ კვირას იმყოფებოდა კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ვიზიტის შემდეგ კალათბურთელმა გამოაცხადა, რომ კორეელ ლიდერ კიმ ჩენ ინს თურმე აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან სურს ტელეფონით საუბარი.

„მას უნდა, რომ ობამამ დაურეკოს, – აღნიშნა როდმანმა ჟურნალისტებთან საუბრისას, – მან ასე მითხრა: „დენის, მე არ მინდა ომი!“ კიმი გიჟდება კალათბურთზე. ვუთხარი, რომ ობამასაც უყვარს კალათბურთი... ასე რომ, სწორედ აქედან დავიწყოთ“.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა როდმანის ვიზიტის კომენტირებისას აღნიშნა, რომ კალათბურთელს არავითარი ოფიციალური მისია არ ჰქონია ფხენიანში გამგზავრებისას. „ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გვქონია ამ გამგზავრების შესახებ. ჩვენ როდმანს არ დავკავშირებივართ, არ გვაქვს

პოზიცია ამ საკითხზე, ეს აშშ-ის მოქალაქის კერძო ვიზიტია“, – განაცხადა ბრიფინგზე სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პატრიკ ვენტრელმა.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები მართლაც სავალალო მდგომარეობაშია, პირადად მე მარშალ კიმ ჩენ ინისა და კორეელი ხალხის მეგობარი ვარ“, – აღნიშნა როდმანმა.

როდმანს თან ახლდნენ ამერიკული საკალათბურთო საგამოფენო გუნდ „ჰარლემ გლობტროტერსის“ წევრები, ასევე რამდენიმე ჟურნალისტი ამერიკული მედიაკომპანია „ვაისიდან“, რომელიც ახალი ტელეგადაცემის გაკეთებას აპირებს ჩრდილოეთ კორეაში.

საჩვენებელი თამაშის შემდეგ მედიაკომპანიის კორესპონდენტი კიმ ჩენ ინთან მივიდა და აშშ-ში დაპატიჟა. მის მიპატიჟებას კიმის ხმამაღალი სიცილი მოჰყვა.

– ბარაკ ობამა არ არის ვალდებული ჩრდილოეთ კორეის ლიდერს, კიმ ჩენ ინს დაურეკოს, რომელსაც კალათბურთელ დენის როდმანთან დაკავშირებით წინადადება აქვს – განაცხადა დენის როდმანის ფხენიანში ვიზიტამდე აშშ-ის პრეზიდენტის პრეს-მდივანმა. ჯეი კარნიმ აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერს ურჩევნია საკუთარი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს, ვიდრე სხვა ქვეყნების ცნობილი სპორტსმენების მიწვევაზე ფიქრობდეს.

„ამას გარდა, სპორტის ვარსკვლავების და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების ნაცვლად, ჯობია თავისი ხალხის უმძიმეს მდგომარეობას მიხედონ, რომელიც შიმშილობს, ციხეებში ზის და რომლის უფლებებსაც არღვევენ“, – აღნიშნა კარნიმ. კიმ ჩენ ინის განცხადება, ბარაკ ობამასთან საუბრის სურვილის შესახებ, უცნაური აღმოჩნდა იმ ფონზე, რომ ჩრდილო კორეელი ლიდერი თეთრი სახლის მიმართ თბილი დამოკიდებულებით არ გამოირჩევა. რამდენიმე დღის წინ, ქვეყნის ხელისუფლების უშუალო მითითებით, ინტერნეტში პროვოკაციული ვიდეორგოლიც კი გავრცელდა, სადაც მონაწილეები ბარაკ ობამა და ამერიკელი ჯარისკაცები იყვნენ.

კიმ ჩენ ინი ჩრდილოეთ კორეის ლიდერი, შეიარაღებული ჯარების მთავარსარდალი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეა. კიმ ჩენ ირის შვილი და კიმ ირ სენის შვილიშვილი. თანამდებობა ოფიციალურად დაიკავა 2011 წლის 17 დეკემბერს, კიმ ჩენ ირის გარდაცვალების შემდეგ.

სამხრეთ კორეის დაზვერვის მონაცემებით, კიმ ჩენ ინი სწავლობდა ბერნის საერთაშორისო სკოლაში. 2002 წლიდან კი სწავლობს კიმ ირ სენის სახელობის უნივერსიტეტში.

მოამზადა ვერა მამულაშვილმა

ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთში ინტერპოლის გენერალურ მდივანს შეხვდება

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ორდღიანი სამუშაო ვიზიტით საფრანგეთში, ქალაქ ლიონში, ინტერპოლის გენერალურ სამდივნოში გაემგზავრა.

ქართული დელეგაციის შემადგენლობაში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსი - ალექსანდრე არაყიშვილი და შსს-ს ადმინისტრაციის უფროსი – თამარ ტალიაშვილი შედიან.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დღეს შეხვედრა, ინტერპოლის გენერალურ მდივან რონალდ ნობელთან გაიმართება. შეხვედრის შემდეგ კი, საქართველოს მიერ „ინტერპოლის სამგზავრო დოკუმენტების“ (პასპორტი და პირადობის მოწმობა) აღიარების შესახებ შეთანხმებას მოეწერება ხელი.

,,ინტერპოლის სამგზავრო დოკუმენტი“-ს მფლობელებს, ინტერპოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას, საზღვრის კვეთის დროს, მიენიჭებათ სპეციალური ვიზის სტატუსი (უვიზო რეჟიმი, დაჩქარებული ვიზა ან სხვა სახის სპეციალური ვიზა).

აღნიშნულის გარდა, დაგეგმილია ინტერპოლის გენერალური სამდივნოს სტრუქტურაში შემავალ სხვადასხვა ქვედანაყოფებთან შეხვედრა, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებასა და მომავალი სამოქმედო პრიორიტეტების დაგეგმვას.

ნიუსპრესი

TV პროგრამა

პარასკევი 15 მარტი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე“ 11.00 „საამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი“ 17.00 დ/ფილმები: „ამერიკის საიდუმლო“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „მიმინო“ 21.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა“ — კატასტროფის ზღვარზე I ფილმი 22.00 „აქცენტები“ 23.30 „წითელი ზონა“ 00.30 მხ/ფ „ბერლინის საძმე“ 02.50 მხ/ფ „ავინიონის წინასწარმეტყველება“

07 08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 9 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე“ 7 ნაწ. 16.00 დ/ფ „უხილავი სამყარო“ I ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ 6 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ილბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 13.00 სერ. „24 – 5“ 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამაჯუღლი სიმართლე“ 17.50 სერ. „თიღისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი 00.15 მხ/ფ „მანდგოშილები“ (ლ.დიკაპრიო) 02.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.05 კენჭისყრა გუაფ 16.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 20.50 ეროვნული ლატარეა

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „მოკვეთილი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერინსაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 მხ/ფ „დიდუნა“ 11.45 ქრისტიანული სნავლება 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დიმიტრი II“ I სერ. 13.30 კონცერტი - ნათუნა კოკოჩაშვილი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.10 კონცერტი -“ჩვენებურები“ 18.05 მრავალჟამიერი 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 მხ/ფ „დიმიტრი II“ II სერ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ჩვენი ფონდი 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის ნვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

მაესტრო 07.00, 05.35, 6.00, 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 07.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 05.55, 06.35 უცხოეთის ამბები 07.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 00.00 ახალი ამბები 08.10, 09.10, 10.15 მაღვიძარა (დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 00.55 „ყოველდღიური აბები“ 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 04.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.30, 01.20 თოქ—შოუ - „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 02.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6594	ევრო — 2,1569
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4684	100 რუსული რუბლი — 5,3951

ამინდის პროგნოზი 15 მარტისთვის

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 1

უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 2

VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან იყიდება პირველი და მეორე ტომები

1 მარტიდან მესამე ტომი

5 მარტიდან მეოთხე ტომი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 4

XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია

ტომი 3

XII-XVI საუკუნეები

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55

ასტროპროგნოზი 15 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! მშვენიერი დღეა

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით სიურპრიზი. **კურო** – სახლში დიდი სიხარული ტრიალებს, გილოცავთ. **ტყუპები** – შორი გზიდან ვიღაც მოდის და თქვენთვის საჩუქარი მოაქვს. **კირჩხიბი** – ნუ იბუტებით, შეყვარებული დაგიბრუნდებათ. **ლომი** – ეს დღე დიდ სიხარულსა და ფულს მოგიტანთ. **ქალწული** – თავს მოუარეთ და ის საქმე აკეთეთ, რომელიც მოგწონთ. **სასწორი** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაა დანიშნული. **ღრიანკალი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, გელით სხვა კარგი ამბავიც. **მშვილდოსანი** – ბედი გწყალობთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **თხის რქა** – სიკეთე დაგიბრუნდებათ, თანაც ძალიან მალე. **მერწყული** – შინაარსიანი დღეა, კარგი ამბავი გაგახარებთ. **თევზები** – ხასიათი გამოგიკეთდებათ, საჩუქარი გელით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი

შვეულად: 1. ონორე დე ბალზაკის მოთხრობა; 2. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ხმამაღალი ხვეწნა, მუდარა; 4. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 5. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 8. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 12. ჩეხეთის ნაკრებისა და „ჩელსის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 13. იტალიური კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 14. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 16. შებოლილი ძეხვი; 18. დასაკეცი დანა; 20. ოპერა „ფაუსტის“ კომპოზიტორი.

თარაზულად: 6. ხმის ჩანაწერების არქივი; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. მზის სისტემის პლანეტა; 9. ფულის ერთეული ყაზახეთში; 10. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია. პუბლიკაცია; 11. ზოდიაქოს ნიშანი; 15. ამერიკელი ჯაზმენი; 17. კინოს ძველი სახელწოდება; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 21. ვერცხლისწყლის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ყველაზე დაბალი ქალის სასიმღერო ხმა; 23. უღელტეხილი აჭარაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ემირ კუსტურიცა: „არც მიფიქრია მეთხოვა რუსეთის მოქალაქეობა“

სერბი კინორეჟისორი არ გაჰყვება ჟერარ დეპარდიეს გზას. ცნობილი სერბი კინორეჟისორი ემირ კუსტურიცა უარყოფს გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ ის ჟერარ დეპარდიეს მსგავსად აპირებს მოითხოვოს რუსეთის მოქალაქეობა.

„მე არასოდეს მიფიქრია, მეთხოვა რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა, მათ შორის რუსეთის. ალბათ, არ შევიცვლი მოქალაქეობას მხოლოდ იმის გამო, რომ მე გამაღიზიანა ჩინოვნიკემ ან პოლიტიკოსმა“, – განუცხადა ჟურნალისტებს რეჟისორმა.

შეგახსენებთ, რომ თებერვლის ბოლოს ემირ კუსტურიცა ნაციონალური პარკი მიკრა გორასთვის გამოყოფილი თანხის გაფლანგვაში დაადანაშაულეს. ამის შემდეგ რეჟისორმა საკუთარი სურვილით დატოვა პარკის დირექტორის თანამდებობა და სახელმწიფოსგან საკუთარი პროექტების დახმარებაზე უარი განაცხადა.

ემირ კუსტურიცა (დ. 24 ნოემბერი, 1954, სარაევო) ბოსნიელი სერბი კინორეჟისორია; საერთაშორისო აღიარება მოუტანა ფილმებმა „ბოშათა დრო“, „არიზონას ოცნება“ და „მიწისქვეშეთი“.

გ. მ.

რომის პაპი არგენტინელი ხორხე მარიო ბერგოლიო გახდა

რომის ახალი, რიგით 266-ე პაპი არგენტინელი კარდინალი, ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსი ხორხე მარიო ბერგოლიო გახდა.

ახალი პაპი 76 წლისაა. ის არის პირველი იეზუიტი პონტიფიკოსი. მან თვითონ აირჩია სახელი და ამიერიდან ის, როგორც ფრანსისკ პირველი მოიხსენიება. ფრანსისკ პირველი წმინდა პეტრეს ტაძრის აივნიდან შეკრებილ მრავალათას მორწმუნეს უკვე მიესალმა.

წმინდა პეტრეს ტაძარში, სიქსტის კაპელას ბუხრიდან კვამლი თბილისის დროით 22.00 საათზე გამოჩნდა, რომელმაც საზოგადოებას ამცნო, რომ ახალი პაპი არჩეული იყო. ახალი პაპი კარდინალი-პროტოდიაკონმა ლათინურ ენაზე მიმართვისას დაასახელა.

რომის პაპის არჩევნებში მსოფლიოს 48 ქვეყნიდან 115 კარდინალი მონაწილეობდა. მათგან ყველაზე მეტი წარმომადგენელი – 28 კარდინალი იტალიას ჰყავდა, 11 კი – აშშ-ს. მათ პირველ დღეს კანდიდატის შერჩევა ვერ შეძლეს.

2005 წელს რომის ახალი პაპის არჩევას, როცა საბოლოოდ ბენედიქტ მეთექვსმეტე აირჩიეს, ოთხი ეტაპი დასჭირდა. თუმცა, ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ამჟამად ახალი პაპის არჩევას უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა, ვინაიდან კონკლავს არ ჰყავდა გამოკვეთილი ფავორიტი. თუმცა ახალი პაპის არჩევას ამჯერად კარდინალებმა მხოლოდ ორი დღე მოანდომეს.

კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები კარდინალების შესაბამის გადაწყვეტილებას მოულოდნელად მიიჩნევენ, რადგან ბერგოლიოს გამარჯვებას არ ელოდნენ.

რომის ახალ პაპს უმთავრეს კათოლიკურ სასულიერო თანამდებობაზე არჩევა უკვე მიულოცეს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, არგენტინის პრეზიდენტმა კრისტინა ფერნანდესმა და გაეროს გენმდივანმა ბან კი მუნმა.

ცნობილია, რომ რომის ახალი პაპი ერთსქესიანთა ქორწინებისა და ჩასახვის საწინააღმდეგი კონტრაცეპტივების გავრცელების კატეგორიული წინააღმდეგია. ექსპერტები ფიქრობენ, რომ კარდინალებმა მიღებული გადაწყვეტილებით კათოლიკური ეკლესიის შეხედულებას გაუსვეს ხაზი ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი ბუენოს აირესში გამოირჩეოდა ცხოვრების უბრალო წესით, ცხოვრობდა საშუალო კლასის ბინაში და გადაადგილდებოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

არჩევის შემდეგ, ახალი რომის პაპი წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ ათასობით მოზეიმე პილიგრიმს აივნიდან მიესალმა და იხუმრა კიდეც, რომ კარდინალებმა ახალი პაპი მსოფლიოს მეორე ბოლოში იპოვეს.

„საღამო მშვიდობისა, ძმებო და დებო, როგორც იცით, კონკლავის დანიშნულებაა, რომ ეკლესიის ახალი მეთაური აირჩიოს. როგორც ჩანს, კარდინალებმა ასეთი ადამიანი მსოფლიოს მეორე ბოლოში იპოვეს. უპირველეს ყოვლისა, მინდა ყველამ ერთად პაპ ბენედიქტესთვის ვილოცოთ, ჰფარავდეს მას ღმერთი“, – ბრძანა პაპმა.

შეგახსენებთ, რომ კათოლიკურ ეკლესიას 1 300 წლის განმავლობაში პირველად ჰყავს არაევროპელი პაპი.

დღეს ახალი პაპი საზეიმო მესას ჩაატარებს.

გ. მ.

დიფ ფარფლი თბილისში ჩამოვა

„თბილისი ოპენ ეარ 2013“-ის ფესტივალში ლეგენდარული ჯგუფი „დიფ ფარფლი“ თბილისში ჩამოვა და 5 ივნისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 90- წუთიან კონცერტს გამართავს. სწორედ დინამო არენა იქნება ამ ფესტივალის წლევანდელი მასპინძელი. დინამო არენამ უკვე უმასპინძლა შაკირას კონცერტს, ახლა კი თბილისი ოპენ ეარის ფესტივალის მასპინძლობისთვის ემზადება.

როგორც საგანგებო პრესკონფერენციაზე ფესტივალის ორგანიზატორებმა განაცხადეს, დიფ ფარფლის გარდა, ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს კიდევ 6 ბენდი. მათთან ერთად კი ქართული ჯგუფიც გამოვა. ფესტივალი საქართველოში უკვე მეოთხედ გაიმართება.

პრესკონფერენციას უძღვებოდნენ აჩიკო გულედანი, ვახო ბაბუნაშვილი, გიორგი ფიფია და თამთა კობიაშვილი. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გაირკვა, რომ ალტენვიჟენ გრუპთან ერთად დაარსდა „დინამო არენა ივენთსი“, რომელიც სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას გაუწევს ორგანიზებას.

– 2009 წლიდან დავიწყეთ ეს ფესტივალი და ჩვენი მიზანი იყო, ნელ-ნელა მივსულიყავით დიდ ვარსკვლავებამდე. წელს ჩვენ ეს შევძელით.

გაგრძელება მე-10 გვერდზე